პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი კვირა 30 აგვისტო № 200 (18142) ფასი 2 კაპ.

30 აგვისტო მეშახტის დღეა

მიმართვა

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლების, ტექნიკუმების მოსწავლეებლების, ახალგაზრდელების, მეშობლებისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

ოდეს მთელ ჩვენს ქვეყანაში, ყოველ ქალაქში, ყოველ სოფელში ხუთეულ გამოცოცხლება და აღფოთოვანება. დღეს ყველგან გათენდა საზეიმო და ბედნიერი დღე, როცა ტრადიციისამებრ აღვნიშნავთ ყველი თავისი შინაარსით მომავლისაკენ მიმსწრაფელ ზეიმს, ახალგაზრდობისა და ცოდნის დღესასწაულს — ახალი სასწავლო წლის დაწყებას. ფაქტობრივად გაღვიძავ კარი სკოლებსა და ტექნიკუმებს, ინსტიტუტებსა და უმაღლეს სასწავლებლებსა და უმაღლეს სასწავლებლებს. მილიონობით ბავშვი, მოზარდი, ქალიშვილი და ბაბუკი შედის სკოლის კლასებსა და აუდიტორიებში, რათა დაეუფლონ მეცნიერების საფუძვლებს და მომავალში წარმატებით მონაწილეობა მიიღონ ცოდნა მშობლიური ქვეყნის, ხალხთა ხალხის კეთილდღეობის.

მომდინარე სასწავლო წელი მართლაცდა ღირსშესანიშნავ დრო იწყება. ეს არის პირველი სასწავლო წელი მას შემდეგ, რაც გაიმართა XXVI ყრილობა — უდიდესი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა, რომელმაც დასახა საბჭოთა ხალხის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობის, ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის განვითარების შემდგომი გზები. ეს არის წელი, როცა მოეწყო საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა, რომელმაც დაამკვიდრა ბოლო წლებში რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური ცხოვრებაში დახასიათებული პოზიტიური ტენდენციები.

რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა შრომელის ფართო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა, ზნეობრივი განწყობა განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა საბჭოთა საქართველოსა და მისი კომუნისტური პარტიის 60 წლის თავის დღესასწაულობის ფონის შემოქმედებითი საწყისის ყოველმხრივ ასახვაში. ამ ზეიმს განსაკუთრებული შინაარსი, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეძინა ნაკვ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მონაწილეობამ. თბილისში, ისევ როგორც პარტიის ყრილობაზე თავისი გამოსვლის დროს, ლ. ი. ბრეჟნევმა დიდად შეაფასა ჩვენი პარტიული ორგანიზაციის, საბჭოთა საქართველოს ყველა შრომელის — მისი სახელოვანი ისტორიის კლასის, გამძლე კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის საქმიანობა.

ყველა ამ საქმეზე და მიღწევაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნით სახალხო განათლების მუშაკებს, ინჟინრებს, პროფტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლებს, ინჟინრებს, ინსტიტუტების, ტექნიკუმების, ტექნიკური სასწავლებლებისა და უმაღლესი სასწავლებლების ლაბორატორიებში, რათა დაეუფლონ მეცნიერების საფუძვლებს და მომავალში წარმატებით მონაწილეობა მიიღონ ცოდნა მშობლიური ქვეყნის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის.

მომდინარე სასწავლო წელი მართლაცდა ღირსშესანიშნავ დრო იწყება. ეს არის პირველი სასწავლო წელი მას შემდეგ, რაც გაიმართა XXVI ყრილობა — უდიდესი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა, რომელმაც დასახა საბჭოთა ხალხის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობის, ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის განვითარების შემდგომი გზები. ეს არის წელი, როცა მოეწყო საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა, რომელმაც დაამკვიდრა ბოლო წლებში რესპუბლიკის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში დახასიათებული პოზიტიური ტენდენციები.

რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა შრომელის ფართო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა, ზნეობრივი განწყობა განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა საბჭოთა საქართველოსა და მისი კომუნისტური პარტიის 60 წლის თავის დღესასწაულობის ფონის შემოქმედებითი საწყისის ყოველმხრივ ასახვაში. ამ ზეიმს განსაკუთრებული შინაარსი, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეძინა ნაკვ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მონაწილეობამ. თბილისში, ისევ როგორც პარტიის ყრილობაზე თავისი გამოსვლის დროს, ლ. ი. ბრეჟნევმა დიდად შეაფასა ჩვენი პარტიული ორგანიზაციის, საბჭოთა საქართველოს ყველა შრომელის — მისი სახელოვანი ისტორიის კლასის, გამძლე კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის საქმიანობა.

ამ საქმეზე ამ მიღწევაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნით სახალხო განათლების მუშაკებს, ინჟინრებს, პროფტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლებს, ინჟინრებს, ინსტიტუტების, ტექნიკუმების, ტექნიკური სასწავლებლებისა და უმაღლესი სასწავლებლების ლაბორატორიებში, რათა დაეუფლონ მეცნიერების საფუძვლებს და მომავალში წარმატებით მონაწილეობა მიიღონ ცოდნა მშობლიური ქვეყნის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის.

ამ ზეიმზე ყველაზე ნათლად ვიგრძნეთ, ვიცოდეთ, ვიგულისხმეთ, ვიგულისხმეთ, ვიგულისხმ

თათბირ-სემინარზე

კასპი. (საკ. კორ.). გაიმართა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების, პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციებისა და პროფკავშირების დარგობრივი რაიკომების თავჯდომარეთა თათბირ-სემინარი. იგი მიეძღვნა პროფკავშირულ ორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კრებებისა და კონფერენციების ორგანიზებულად მომზადებისა და ჩატარების საკითხებს.

მოხსენება გააკეთა პარტიის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ა. ბოგველმა. თათბირ-სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს აგრეთვე სოფლის მეურნეობის, კულტურის, ვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის რაიკომების თავჯდომარეების ი. შალუტაშვილის, გ. ხაჩიძის, ვ. თამაზაშვილის, კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატის მუშათა კომიტეტის თავჯდომარის კ. დარჯანიას და სხვათა ინფორმაციები პროფკავშირულ ორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კრებების ორგანიზებულად მოპარსადებისა და ჩატარების თაობაზე.

თათბირ-სემინარზე გამოვიდა პარტიის რაიკომის მეორე მდივანი ე. შაველაშვილი.

ლექტორთა ჯგუფი ახალგაზრდებთან

ონი. (საკ. კორ.). ოთხ დღეს იყვნენ რაიონში საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის წევრები. ისინი შეხვდნენ რაიონის მშრომელებს, პიონერული ბანაკის „მამისონის“ ნორჩ დამსვენებლებს, სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივს, მოაწყვეს მათთვის ლექციებსაუბრები.

ლექტორები დაინტერესდნენ რაიონის ახალგაზრდობის თავისუფალი დროის ორგანიზაციით, კომკავშირული მუშაობით, მიგრაციის მიზეზებით. სტუმრებმა მასპინძლებს გაუზიარეს თავიანთი შთაბეჭდილებანი და მოსაზრებანი, მოუთხრეს ბევრ სიახლეზე, რომელთა დანერგვა ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ორგანიზებულ ნაყოფიერ შრომას, მათს შინაარსიან დასვენებას.

ვ. ციბეკიძე.

„საქართველოს კომუნისტი“ № 8

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის „საქართველოს კომუნისტის“ მორიგი, მერვე ნომერი.

ჟურნალი იხსნება მასალით სკკპ ცენტრალურ კომიტეტში — XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით პარტიული სწავლების შემდგომი სრულყოფის შესახებ.

რუბრიკით „სკკპ XXVI ყრილობა: .თეორიის საკითხები“ დაბეჭდილია მ. კულიჩნკოს სტატია— ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის შესწავლის აქტუალური საკითხები.

ანშლაგით „სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებები — ცხოვრებაში!“ გამოქვეყნებულია წერილები: ვ. მელქაძის — ეკონომიკის ზრდის სტრატეგია ოთხმოციანი წლებისათვის; შ. ეცადაშვილის — დამმბარე მეურნეობის როლი სასურსათო პროგრამის განხორციელებაში.

რუბრიკით „სკკპ XXVI ყრილობის მასალების შემსწავლელთათვის“ დაბეჭდილია მ. ჯინჭვლაშვილის წერილი — სკკპ XXVI ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა.

განყოფილებაში „პარტიული ცხოვრება: თეორია, პრაქტიკა, პრობლემები“ გაეცნობით წერილებს: ვ. ოსინსკის — ძიება გრძელდება; ზ. სიკონიავის და ვ. ლომაძის — რა უშლის ხელს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებას?

რუბრიკით „ახალგაზრდა პუბლიცისტის ტრიბუნა“ დაბეჭდილია ჯ. ნინუას წერილი — სითბო სიქაბუკისა.

ანშლაგით „საბჭოთა საქართველოს მილიონი 60 წლისაა“ გამოქვეყნებულია გ. გვეტაძის წერილი — მართლწესრიგისა და კანონიერების სადარაჯოზე.

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის“; „ადამიანი, დრო, მორალი“; „სოციალისტური ცხოვრების წესი: დავამკვიდროთ ახალი ტრადიციები“, „პარტიული ქრონიკა“.

ავამაღლოთ მშენებლობის ხარისხი

უკანასკნელ ხანს რესპუბლიკის მშენებლობებზე ფართოდ იყენებენ ახალ საპროექტო გადაწყვეტებსა და შრომის ორგანიზაციის პროგრესულ მეთოდებს, თანდათანობით მაღლდება ინდუსტრიალიზაციის დონე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ღონისძიებების შედეგად რამდენადმე გაუმჯობესდა მშენებლობის ხარისხი, მაგრამ მიღწეული საკმარისი არ არის.

მშენებლობის დაბალი ხარისხის ერთ-ერთი მიზეზია არარიტმული მშენებლობა. მშენებლობის დაგეგმვასა და ორგანიზაციაში არსებული ნაკლოვანებები აქვეითებს სამშენებლო პროდუქციის ხარისხს. წლიდან წლამდე იგეგმება სამშენებლო ორგანიზაციების არარიტმული მუშაობა. გასულ წლებში თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესი ობიექტის და სწარმოო სამძლავრის ამოქმედება გათვალისწინებული იყო მეოთხე კვარტალში, ფაქტობრივად, 1981 წლის იანვარ-ივლისში ამოქმედდა ძირითადი ფონდების წლიური მოცულობის მხოლოდ 22,3 პროცენტი და გეგმით მეოთხე კვარტალზე მოდის ასამამქედელი ძირითადი ფონდების 49 პროცენტი. სანიაო მშენებლობაში მიმდინარე წლის 7 თვეში საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის სამი კვარტალის გეგმა სანახევროდ იყო შესრულებული, მეოთხე კვარტალში გათვალისწინებულია საცხოვრებელი სახლების 39,2 პროცენტის საექსპლოატაციოდ გადაცემა. კაპიტალური მშენებლობის ამგვარი დაგეგმვა წლის ბოლოს იწვევს იერიშმგადინას, აუარესებს საიჯარო ორგანიზაციების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს და აქვეითებს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხს. მშენებლობის ხარისხის ამაღლების მიზნით უკვე 1982 წლიდან აუცილებელია დაიგეგმოს რიტმული მშენებლობა.

მშენებლობის ეფექტიანობის და ხარისხის ამაღლებას უზრუნველყოფს უწყვეტი ორწლიანი დაგეგმვა. ჩვენს რესპუბლიკაში ჯერჯერობით სათანადოდ ვერ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის რეკომენდაციები ორიოლელთა ორწლიანი უწყვეტი დაგეგმვის გამოყენების შესახებ. მას ჯერჯერობით საკმარისად არ იყენებენ საბინაო-სამოქალაქო მშენებლობაში და საერთოდ არ იყენებენ სამრეწველო და სასოფლო მშენებლობაში. უახლოეს მომავალში მიზანშეწონილია რესპუბლიკის საბინაო-სამოქალაქო და სასოფლო მშენებლობის მთლიანად გადაყვანა ორწლიანი უწყვეტი დაგეგმვის მეთოდზე და ნიადაგის მომზადება სამრეწველო მშენებლობაში ამ სისტემის დასანერგავად.

კაპიტალური მშენებლობის დაჩქარებისა და ხარისხის ამაღლების მნიშვნელოვან რეზერვს წარმოადგენს ბრიგადული იჯარის ფართოდ გავრცელება. ნიკოლოზ ხლობინის მეთოდით მომუშავე ბრიგადები ობიექტების მშენებლობის ხანგრძლივობას საშუალოდ 15-20 პროცენტით ამცირებენ, შრომის ნაყოფიერებას ზრდიან 20-30 პროცენტით და მნიშვნელოვნად აუმჯობესებენ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხს. მაკამად საქართველოს სსრ სამშენებლო პროგრამის შესრულებაში მისი წილი დაახლოებით 40 პროცენტს შეადგენს. ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებში სამეურნეო ანგარიშის ბრიგადული იჯარის ფორმის გავრცელების საქმეში. **მეთერთმეტე ხუთწლედში შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ბრიგადული ფორმა ძირითადი უნდა გახდეს მშენებლობაში.** ბრიგადული იჯარის ფართოდ გავრცელება. ხელს შეუწყობს შრომითი რესურსების და სამუშაო დროის ეფექტიანად გამოყენებას, საწარმოო სიმძლავრეების და ობიექტების რიტმულ ამოქმედებას და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხის ამაღლებას.

საროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთლიანად მშენებლობის ხარისხზე. ამ მიმართულებით ჩვენს რესპუბლიკაში გარკვეული მუშაობაა გაწეული, მაგრამ ჯერჯერობით კიდევ შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებები. რიგ შემთხვევაში ობიექტებს სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შემცირებულია ხელოვნურად და მისი გადიდება ხდება მშენებლობის პროცესში. მხოლოდ 1980 წელს რესპუბლიკაში მშენებარე ობიექტების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება დაიხლოებით 260 მილიონი მანეთით გაზარდა. სახარჯთაღრიცხვო ღირებულების არასწორად განსაზღვრა, მისი ცვლილება დეზორგანიზაციის იწვევს კაპიტალდაბანდებათა დაგეგმვასა და ათვისებაში, აუარესებს მშენებლობის ხარისხს. მეთერთმეტე ხუთწლედში გათვალისწინებულია გავაუმჯობესოთ საროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმე, ავამაღლოთ დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო გადაწყვეტების ხარისხი, გავაძლიეროთ პასუხისმგებლობა საროექტო გადაწყვეტათა მაღალი ტექნიკური და ეკონომიკური დონის უზრუნველყოფისათვის, მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების სწორი განსაზღვრისათვის.

უკანასკნელ პერიოდამდე საერთოდ მშენებლობისა და განსაკუთრებით საბინაო მშენებლობის როოდენობრივი ზრდა ხდებოდა ხარისხის დაქვეითების ხარჯზე, როგორც პრაქტიკამ დაგვანახა, იგი დაკავშირებულია დიდ საექსპლოატაციო დანახარჯებთან. მშენებლობაში დანერგული სახსრების ეფექტიანობის ამაღლების რეზერვები მშენებლობის ხარისხის დაქვეითებაში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ სამშენებლო წარმოების ინდუსტრიული მეთოდების, საშენ მასალათა და სამშენებლო კონსტრუქციების მრეწველობის და პროგრესულ საპროექტო გადაწყვეტათა უდიდეს შესაძლებლობებში.

მრავალი ობიექტის მშენებლობისათვის არადროული და არაკვალიფიციური მომზადება აქვეითებს მშენებლობის ხარისხს. როგორც რესპუბლიკის სახმშენის მიერ მოწყობილი შერჩევითი შემოწმებები გვიჩვენებს, ტექნიკური პირობების და სამშენებლო წარმოების მოთხოვნები ჯერ კიდევ ხშირად ირღვევა. ამის გამო დაბალია შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი. ეს იწვევს სამშენებლო წარმოების ტექნოლოგიისა და გრაფიკების მოთხოვნათა უგულებელყოფას. **ხშირად მშენებლობის დროს არ იცავენ დამტკიცებული პროექტების მონაცემებს, არღვევენ ანტისეისმური მშენებლობის ნორმებს და სხვა ტექნიკურ პირობებს. რიგ შემთხვევაში სამშენებლო მოედნებზე მიდის არასტანდარტული და პირსიხსო კონსტრუქციები და ბლოკები.** რკინა-ბეტონის კონსტრუქციებში სტანდარტის მოთხოვნებისა საშუალოდ დარღვეულია 15-20 პროცენტით. ძალზე დაბალია ხის კონსტრუქციების ხარისხი, კარ-ფანჯრების ბლოკები ზშირად სველი ხისაგან მზადდება, ამიტომ აშრობისას იგრიხება და ჩნდება ღრეჩოები, ხშირად სრულყოფილი არ არის სამშენებლო კონსტრუქციათა და ნაკეთობათა წარმოების ტექნოლოგია, ტექნიკური მოწყობილობა დაბალი ხარისხისაა, ირღვევა საწარმოო-ტექნოლოგიური დისციპლინა.

არცთუ იშვიათად გეგმის როგორც შესრულების მიზნით, ობიექტებს ისე აბარებენ, რომ შეუსრულებელია ზოგიერთი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაო, გამოსწორებული არ არის შენიშნული დეფექტები და ხარვეზები. **სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვხვდება შემთხვევები, როცა მიმღები კომისიები საექსპლოატაციოდ იღებენ უხარისხოდ აშენებულ ობიექტებს.**

უხარისხო მშენებლობის გამო უკანასკნელ პერიოდში რიგი ობიექტების მშენებლობა შეჩერებულია. მიმდინარე წლის ივნისსა და ივლისში **რესპუბლიკის სახმშენმა შეამოწმა ქ. ცხინვალის ტრიკოტაჟის ფაბრიკის მშენებლობაზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხი და სერიოზული ნაკლოვანებებს გამო შეაჩერა მისი საექსპლოატაციოდ გადაცემა.** (მშენებლობას აწარმოებს მშენებლობის სამინისტროს № 11 ტრესტი (მმართველი მ. თოგიევი) და მოსაპირკეთებელ სამუშაოებს — № 9 ტრესტი (მმართველი ს. გერგაული). შემოწმების დროს კანალიზაციის სისტემა არ იყო აპრობირებული, დაუმთავრებელი იყო სანიტარიული კვანძის დამონტაჟება, რეზერვუარები არ შეესაბამება დანიშნულებას, უწყლობის გამო შეუძლებელი იყო საქმიანობა აპრობირება, მზად არ ჰქონდათ განაყვების და კონდიციერების სისტემები, მოწყობილობის ნაწილი დაზიანებული იყო და შეკეთებას მოითხოვდა, დაბალი იყო ბიდროიზოლაციის ხარისხი, ხმის იზოლაციის პანელები არ ჰქონდათ დამზადებული, იყო სხვა ხასიათის დეფექტებიც.

უკანასკნელ წლებში „კარგი“ და „ფრიადი“ შეფასებით საექსპლოატაციოდ გადაცემული ობიექტების რაოდენობა გაიზარდა, მაგრამ მშენებლობის ხარისხის ეს მაჩვენებელი ჯერჯერობით არადამაკმაყოფილებელია. 1980 წელს რესპუბლიკაში ობიექტების 75 პროცენტი საექსპლოატაციოდ გადაეცა „კარგი“ და „ფრიადი“ შეფასებით. მშენებლობის სამინისტროს სისტემაში ამ მაჩვენებელმა შეადგინა 68 პროცენტი, ხოლო სასოფლო მშენებლობის სამინისტროში — 82 პროცენტი. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ეს მაჩვენებელი რესპუბლიკაში მკვეთრად გაუარესდა — მან შეადგინა 36 პროცენტი, ანალოგიური ტენდენცია შეინიშნება მშენებლობის და სასოფლო მშენებლობის სამინისტროებში. 1979 წელს „ფრიადი“ შეფასებით არ მიუღიათ არც ერთი საცხოვრებელი სახლი. **შარშან მშენებლობის სამინისტროს მიერ აშენებული საცხოვრებელი სახლების მხოლოდ 1,9 პროცენტი იყო მიღებული „ფრიადი“ შეფასებით. იმავე წელს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მიერ საექსპლოატაციოდ გადაცემული სანაწარმოების და სიმძლავრეების მხოლოდ 0,4 პროცენტი მიიღეს „ფრიადი“ შეფასებით.** ეს ფაქტი **დამაფიქრებელია!** აღსანიშნავია ის, გარემოებაც, **[illegible]** მოკავშირე რესპუბლიკებში ანალოგიური [illegible] ლებში გაცილებით მაღალია.

სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის დადგენილების საფუძველზე შემუშავებული საწარმოო სიმძლავრეების და მშენებლობის ობიექტების ამოქმედებისათვის მომუშავეთა პრემიერების ახალი დებულებით ობიექტის ამოქმედებისათვის პრემია გაიცემა მშენებლობის ხარისხის გათვალისწინებით. ობიექტის „ფრიადზე“ შეფასებისას პრემია დიდდება 10 პროცენტით, „კარგზე“ შეფასებისას დადგენილი პრემიის ოდენობა უცვლელრჩება, ხოლო „დამაკმაყოფილებელი“ შეფასებისას პრემია მცირდება 20 პროცენტით.

როგორც აღვნიშნეთ, უკანასკნელ პერიოდში რესპუბლიკაში რამდენადმე გაუმჯობესდა მშენებლობის ხარისხი, მაგრამ მიღწეული საკმარისი არ არის. საჭიროა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სამშენებლო წარმოების დაგეგმვის სრულყოფა, სამშენებლო მასალებისა და საკეთობათა ხარისხის ამაღლება, ნაგებობათა საექსპლოატაციო თვისებების გაუმჯობესება. სამშენებლო ორგანიზაციის გადაუდებელი ამოცანაა დაიცვან ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის დადგენილი წესი დროულად, შემავალთა-სათვის ობიექტის ჩაბარებამდე, შეასრულონ ყველა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაო.

ე. გაფრინდაშვილი,
გაზეთ „კომუნისტის“ ეკონომიკური მომმახლველი, ეკონომიკის მეცნიერებათა კან. დოდატი.

ზამთარი გულგრილობას არ გვაპატიებს

დადგა საკვების დამზადების გადამწყვეტი დღეები.

მიუხედავად იმისა, რომ გადაჭარბებით შესრულდა რესპუბლიკაში სენაჟის დამზადების გეგმა და შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ეს საკვები 38.724 ტონით მეტია მომარაგებული, ბევრ მეურნეობას გეგმადაგალებები ჯერ კიდევ არა აქვს რეალიზებული. სენაჟის დამზადების გეგმა არ შეუსრულებიათ ამბროლაურის, მცხეთის, ზუგდიდის, ცხაკაიას, ხობისა და სხვა რაიონების მეურნეობებს.

ამ საკვების დამზადების გეგმების შეუსრულებლობას შემრგებლურად უდგებიან ლანჩხუთის რაიონში, სადაც გეგმა რეალიზებულია მხოლოდ 30 პროცენტით, ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ რაიონის მეურნეობებმა შარშან შემოდგომით ვერ უზრუნველყვეს სახელმწიფო რესურსებიდან მიღებული 46 ტონა შრეის შუალედურად თესვა, ხოლო გაზაფხულზე აროვადების დარღვევით დათესილი შვრიიდან მოსავალი ვერ მოიწეს.

ჯერ კიდევ ბევრგან სენაჟის დამზადებისას არღვევენ ტექნოლოგიას. ბორჯომის რაიონის წყვეტრის კოლმეურნეობაში უხარისხო აღმოჩნდა 350 ტონა სენაჟი, ტბის კოლმეურნეობაში — 87 ტონა, გარდაბნის რაიონის მუხროვანის მეურნეობაში — 722 ტონა, გარიანის მეურნეობაში — 180 ტონა, რუისპოლოს მეურნეობაში— 700 ტონა, მარტყოფის მეურნეობაში — 900 ტონა. დიდძალი უსტანდარტო სასენაჟე მასა ჩაიღო ღუშეთის რაიონის ღუშეთის, არაგვისპირის და ფასანაურის მეურნეობებში.

ზემოხსენებულ მეურნეობათა ხელმძღვანელები თავსაც იტყვებენ და პირუტყვსაც უსაკვებოდ ტოვებენ. იმედია, ეს საკითხი რაიონების ხელმძღვანელობის მსჯელობის საგანი გახდება.

მართალია, „საკვებმომპოვებლებმა თვითონ დამზადების შარშანდელი შესაბამისი პერიოდის დონეს გაუსწრის, მაგრამ თვითდამშეიდების საფუძველი არა გვაქვს. რესპუბლიკის ყველა მეურნეობაში მუშაობა უნდა გაძლიერონ ხელით მთიბავებმა და მექანიზებულმა რაზმებმა. ამ საქმეში მასობრივად უნდა ჩავაბათ სოფლის მთელი მოსახლეობა, ახალგაზრდობა და ინტელიგენცია. სათიბში ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს. წლეულს თვითმმართველობა გეგმის შეუსრულებლობა დანაშაულს უდრის.

თვითონ დამზადება დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ხაშურის, საგარეჯოს, წითელწყაროს, გარდაბნის, მცხეთის, ზესტაფონის, ჭიათურის, საჩხერის და მახარაძის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, ხოლო ბოგდანოვკის, ახალქალაქის, წალკის, დმანისის, ლანჩხუთისა და მესტიის რაიონებში თივის დამზადების ტემპი საფრთხის წინაშე აყენებს გეგმის შესრულებას. საჭიროა საქმის გამასსწორებლად ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა უფრო ქმედითი ორგანიზატორული ღონისძიებები განახორციელონ.

ამინდის არახელსაყრელმა პირობებმა შეაფერხა თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება, შესაბამისად შეფერხდა ნამჯის დამზადებაც. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ნამჯა დამზადებულია 63,5 ათასი ტონით ნაკლები. ამასთან, ნაკვეთებიდან შეუწყნარებლად ნელი ტემპით გაიქნთ ნამჯა. თუ რესპუბლიკაში პურეულისგან გათავისუფლებული ფართობის 72 პროცენტიდანაა გამოზიდული და დაზვინული ნამჯა, გარდაბნის რაიონის მეურნეობებში ამ მაჩვენებლებმა შეადგინა 54 პროცენტი, ღუშეთის — 64, თეთრი წყაროს — 56, ასპინძის — 49, გორის — 71, კასპის — 74, დმანისის რაიონში — 57 პროცენტი.

ამ რაიონების საკვებმომპოვებლებს უნდა შეეგასწინონ, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს აღნიშნული სამუშაოს დროულად დამთავრება. დასაურებელია სადირექტივო ორგანოების დადგენილებით ნამჯის სარეზერვო ფონდის ანგარიშში დამზადება. ზოგიერთი რაიონის წარმომადგენლები ამ ნამჯის დამზადების ადგილებზე ჯერაც არ მისულან. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ, თუ ადგილებზე დაუყოვნებლივ არ გაგზავნიან საჭირო მუშახელს, ტექნიკას და ტრანსპორტს, ნამჯა სხვა რაიონებს მიეცემათ. განსაკუთრებით დასაჩქარებელია ნამჯის დამზადება კრასნოდარის მხარეში. სხვა უხეშა საკვების რეზერვის გადიდებისათვის კი დროულად და დაბალ ჭრაზე უნდა ვაწარმოოთ თავთავიანი კულტურებისა და სამარცვლე სიმინდის მოსავლის აღება, ვინაიდან ყოველი დაკარგული კილოგრამი საკვები დაკარგული რძე და ხორცია.

წვნიანი საკვები რესპუბლიკაში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით თითქმის ორჯერ მეტია დამზადებული. სასილოსე ნათესები იმის სრულ გარანტიას იძლევა, რომ წლეულს უნდა გვქონდეს იმდენი სილოსი და საკვები ძირხვენები, რამდენიც არც ერთ წინა წელს არ დაგვიმზადებია. ერთი სიტყვით, ამ საკვების დამზადების გეგმების შესრულების რეალური შესაძლებლობები არის. ახლა მთავარია შემოსული სასილოსე მასა სწრაფად ავიღოთ, რათა ტენით „განებივრებული“ მცენარე გვალვამ არ დააკნინოს და უხეშ საკვები რესურსი ხელიდან არ გამოგვეცალოს.

ყველაფერი უნდა ვიღონოთ სილოსის ხარისხის გასაუმჯობესებლად. წლეულს რესპუბლიკაში კარბამიდის გამოყენებით უნდა დასილოსდეს 300 ათასი ტონა მწვანე მასა და დამატებულ 30 ათასი ტონა კომბინირებული სილოსი. ამ ძვირფასი საკვების ხარისხის გასაუმჯობესებლად ფართოდ უნდა გამოვიყენოთ კონსერვატები, ამ მხრივ რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლქიმია“ ჯერ კიდევ ვალშია.

შეუწყნარებლად ნელი ტემპით მიმდინარეობს სათიბ-საძოვრების ძირეული გაუმჯობესება. შვიდი თვის განმავლობაში საგეგმო 4700 ჰექტარის ნაცვლად ეს სამუშაო შესრულებულია 365 ჰექტარზე. დრო აღარ იმძენს, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სათიბ-საძოვრები ძირითადად მაღალმთიან ზონაშია, ეს საქმე ძალზე საგანგაშოა. რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსახსოფლტექნიკას“ რაიონალური ღონისძიებების განხორციელება მაინთებს დარჩენილ მცირე დროში ამ მეტად მნიშვნელოვანი დავალების შესასრულებლად.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის მოთხოვნათა პასუხად თითოეული ჩვენგანის, სოფლის ყველა მშრომელის ამოცანაა ყველა კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებში უზრუნველვყოთ შრომითი აღმავლობა, წარვმართოთ იგი საკვების წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების პროგრამის ორგანიზებული განხორციელებისათვის.

ნ. მეფარიშვილი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სოფლის მეურნეობისა და დამზადების განყოფილების გამგის მოადგილე;
უ. დავითაშვილი,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკვებმოპოვების სამმართველოს უფროსი.

საკვების დამზადების გადამწყვეტი დღეებია

ფაქტები • მოვლენები • კომენტარი

საკლესიასა და ახალი ამბების საგენტოს კორესპონდენტები გვაცყობინებენ



29 აგვისტო

შევაჩეროთ ნეიტრონული ბომბი!

სან-ფრანცისკო. **გამოჩენილმა ამერიკელმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატმა, ორგზის ნობელის პრემიის ლაურეატმა ლ. პოლინგმა „უგუნური, საყოველთაო მშვიდობის ინტერესებს აბუჩად ამგდები“ უწოდა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას სრული მასშტაბით წარმოების.** ნეიტრონული იარაღის წარმოების, დაგროვების, განლაგებისა და გამოყენების აკრძალვის საერთაშორისო კონვენციის დადების შესახებ.

სტოკჰოლმი. **აქ გაიმართა მასობრივი საპროტესტო დემონსტრაცია იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა გადაწყვიტა შეუდგეს ნეიტრონული იარაღის სრული მასშტაბით წარმოებას.** შვეციის მშვიდობის დაცვის ეროვნული კომიტეტის მოწოდებით ფართო მანიფესტაციაში, რომელიც მიმდინარეობდა „შევაჩეროთ ნეიტრონული ბომბი!“, „ევროპის ჩრდილოეთს — უბირთვო ზონა!“, მონაწილეობა მიიღეს შვეციის პოლიტიკური პარტიების, პროფკავშირების, ქალთა, ახალგაზრდათა, ქვეყნის სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. მისმა მონაწილეებმა ჩაიარეს სტოკჰოლმის ცენტრალურ ქუჩებში და მიადგნენ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს შენობას, სადაც გაიმართა მიტინგი და მიღებულ იქნა საპროტესტო რეზოლუცია იმის გამო, რომ შეერთებული შტატები აძლიერებს რაკეტულ-ბირთვულ პოტენციალს ევროპაში.

კაკობრიობას არ ჰქონია ნეიტრონულ ბომბზე უფრო ბარბაროსული იარაღი, განაცხადა მიტინგზე გამოსვლისას თვალსაჩინო შვედმა საზოგადო მოღვაწემ მწერალმა არვიდ რუნდბერგმა. მან მოუწოდა საკადრისი პასუხი გასცენ ამერიკის შეერთებული შტატების და ნატოს ახალ მზაკვრულ გეგმებს, რომელებსაც „ნუნზრახავთ ევროპა პენტაგონის ბირთვულ მძევლად გაიხადონ.

სანამ კატასტროფა რეალობად არ ქცეულა, ნათქვამია მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში, თავიდან უნდა ავაცილოთ „კაობრიობას რეიგანის ადმინისტრაციის მიერ ნეიტრონული იარაღის წარმოების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების განხორციელება.

ვიეტნამის ომბვიდობის მსოფლიო საბჭოს განცხადება

ჰელსინკი. **მშვიდობის მსოფლიო საბჭო მტკიცედ გმობს რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ჯარებისა და უცხოელ დაქირავებულთა მასირებულ შეჭრას ანგოლის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ხაზგასმულია აქ გავრცელებულ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს განცხადებაში.**

დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ აგრესიის ეს დიდი აქტი, აღნიშნულია დოკუმენტში, საერთაშორისო სამართლის ნორმების აღმაშფოთებელი დარღვევაა. იგი მოწმობს, რომ რასისტები აპირებენ დაიწყონ დიდ მასშტაბის ომი ანგოლის წინააღმდეგ, აგრეთვე იმასაც, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ იკისრა იმპერიალიზმის ჟანდარმის როლი აფრიკის კონტინენტის სამხრეთში.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღებას მიაპყრობს ანგოლაზე თავდასხმის საშიშ შედეგებს და მოითხოვს განხორციელდეს გადამწყვეტი ღონისძიებანი, რათა აპარტეიდის რეჟიმი აიძულონ გაიყვანოს თავისი ჯარები ანგოლის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიიდან.

ამავე დროს მშვიდობის მსოფლიო საბჭო აღნიშნავს, რომ პრეტორიის მოქმედებისათვის პასუხისმგებლობა აგრეთვე ეკისრება ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელმაც აშკარად გამოაცხადა, მხარს ვუჭერო აპარტეიდის რეჟ[illegible] მის აგრესიულ პოლიტიკას.

რეიგანის ადმინისტრაციის [illegible] ანგოლის მიმართ გამოირ[illegible] განსაკუთრებული მტრობით, ხ[illegible] ქვამია განცხადებაში. უფრო [illegible] ტიც, ყველასათვის ცხადია: ამერ[illegible] კის შეერთებული შტატები და [illegible] სი სხვა მოკავშირენი მხარს [illegible] არ უჭერდნენ სამხრეთ აფრ[illegible] რესპუბლიკის რასისტულ რეჟ[illegible] იგი ვერ ჩაიდენდა მეზობელ [illegible] ხელმწიფოთა წინააღმდეგ აგ[illegible] სიის ბარბაროსულ აქტებს.

მშვიდობის მსოფლიო საბ[illegible] მხარს უჭერს ანგოლის მთავრობ[illegible] მოითხოვდას სასწრაფოდ მოიწვ[illegible] გაერთიანებული ეროების ორგან[illegible] ზაციის უშიშროების საბჭო [illegible] მშვიდობის დაცვის ყველა ეროვ[illegible] ნულ კომიტეტს მოუწოდებს [illegible] გმონ რასისტული სამხრეთ აფ[illegible] კის რესპუბლიკის აგრესია, აგ[illegible] თვე სრული სოლიდარობა გა[illegible] ცხადონ ანგოლის მთავრობასა [illegible] ხალხს.

პოლონეთის ამბები

ვარშავა. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა პოლონეთის უდიდეს სამრეწველო საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების პირველ მდივანთა თათბირი. თათბირზე გამოვიდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ს. კანია. მან პარტიას მოუწოდა იმოქმედოს მტკიცედ და აქტიურად, უყურადღებოდ არ დარჩეს არაფერი, რაც ხალხის ცხოვრებას ეხება. „სოლიდარობაში“ ელექტრომექანიკურ მიმდინარეობებს რომ შეეხო, ს. კანიამ აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ უყურადღებოდ არ უნდა დატოვოს კანონის არც ერთი არსებითი დარღვევა. უკანასკნელ ხანს შეინიშნება სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გაუმჯობესება. ეს [illegible] თქვა მან. ზდება უჩვეულოდ [illegible] თრებული მტრული გამოსვლ[illegible] უნდა განვაზორციელოთ საფრ[illegible] შესაბამისი ღონისძიებანი. ამ [illegible] თხვევაში, თუ სოციალიზმს [illegible] თხე შეექმნა. ყველაფერს ვ[illegible] ნებთ, რადგან ეს საფრთხე ჩ[illegible] დამოუკიდებლობის წინააღ[illegible] არის მიმართული.

პოლონეთის გაერთიანებ[illegible] მუშათა პარტიის ცენტრალ[illegible] კომიტეტის პოლიტბიუროს [illegible] ღო გადაწყვეტილება 2 სექტ[illegible] ბერს მოწვეს პოლონეთის [illegible] რთიანებული მუშათა პარტ[illegible] ცენტრალური კომიტეტის პლ[illegible] მი, რომელზეც განხილავენ [illegible] ნომიკური რეფორმის პირობ[illegible] სოციალისტურ საწარმოთა [illegible] მმართველობის საკითხს.

ფოტოგიჟეტივი ამბილებს

იაპონიაში **დაახლოებით 20 ათასი კაცი შეიწირა აქაური ფარ[illegible] მაცევტული კონცერნების უკონტროლო საქმიანობამ.**

**20 წელზე მეტი ხნის წინათ „ტანაბე სეიდუკს“ და „ტაკედ[illegible] იაკუნინს“

ვინ გადაიხდის ორ მილიონს?

„ოთვალეთა“ შორის თავისებური ლიდერი გახდა თბილისის საქალაქო აღმასკომის ვაჭრობის სამმართველო. აქ ნახეთ-ა, მილიონ მანეთს სჩარობს გაფლანგვა-დატაცებით, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გაფუჭებით გამოწვეული აუნაზღაურებელი დანაკარგების ნაშთი. მთლიანად რესპუბლიკაში კი ამ ციფრმა ნახევარი წლის მანძილზე შეადგინა 2 მილიონ 656 ათასი მანეთი — მილიონი მანეთით მეტი 1977 წელთან შედარებით. ეს ფაქტები დაასახელეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე, სადაც განიხილეს სოციალისტური საკუთრების გაფლანგვა-დატაცებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებანი.

ვაჭრობის საწარმო-ორგანიზაციათა მთავარი ბუღალტერები, ითქვა თათბირზე, მეტწილად ფორმალურად, ინსტრუქციის დარღვევით აწყობენ ინვენტარიზაციას. № 62 მაღაზიის გამყიდველს ჯ. გელაშვილს შვიდი წლის მანძილზე ხაშურვაჭრობაში (დირექტორი გ. ურუტაძე) ინვენტარიზაციის დროს არც ერთხელ არ ჰქონია ბოროტგანზრახული დარღვევები, მაგრამ პირველივე შემოწმებამ, რომელიც სამინისტრომ მოაწყო, მას 6 ათასი მანეთი დანაკლისი აღმოუჩინა. სერიოზულად უსაყვედურეს იურისკონსულტებს, რომლებმაც თვალი უნდა ადევნონ გაფლანგვა-დატაცების მასალების დროულ გადაცემას შესაბამის ორგანოებში, იღვაწონ სავაჭრო ორგანიზაციებისათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად. ზოგიერთი იურისკონსულტის უპასუხისმგებლობის შედეგად, მაგალითად, აფხაზეთში, დიდი ხანია გრძელდება გამოძიება საბელმწიფოსათვის მიყენებული 55 ათასი მანეთი ზარალის გამო (აფხაზეთის ვაჭრობის სამინისტროს უფროსი იურისკონსულტი ე. პოსტოვეცი), ცხინვალში — 11 ათასი მანეთისა (ცხინვალელ ვაჭრობის იურისკონსულტი ს. სამონიშვილი). სამართლიანად გააკრიტიკეს სავაჭრო მუშაკებმა ზოგიერთი ადმინისტრაციული ორგანოც. ოჩამჩირეში 1971 წლიდან იძიებენ და ვერ გამოუძიებიათ ადგილობრივ კურორტვაჭრობაში მომხდარი ხანძრის ამბავი, რომელმაც სახელმწიფოს 103 ათასი მანეთი აზარალა.

1976 წლიდან იძიებს თბილისის პროკურატურა მაღაზია „საბედნიეროში“ 141 ათასი მანეთის გაფლანგვის საქმეს.

რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება და დასახა კონკრეტული რეკომენდაციები, რომ გაძლიერდეს მთავარ ბუღალტერთა და იურისკონსულტთა პირადი პასუხისმგებლობა იმ ზარალის დროული ანაზღაურებისათვის, სახელმწიფო ვაჭრობის სისტემას რომ მიადგა გაფლანგვა-დატაცებათა შედეგად.

(საქინფორმი).

ტელე-ტელი „ინფორმაციის ბანკი“

საინტერესო ექსპერიმენტი

...**ბაკვეთილი** დაიწყო. ტელევიზორთან ახლოს, მაგიდაზე სპეციალური კლავიშებიანი ხელსაწყო დგას. მასწავლებელი ახალი მასალის ახსნას იწყებს. დღეს გაკვეთილის თემაა თევზის ანატომია. პედაგოგი რთავს კლავიშს და ეკრანზე ცოცხალი თევზის გამოსახულება ჩნდება. მასწავლებელი ბავშვებს ესაუბრება თევზის ცალკეული ორგანიების სახელწოდებებსა და ფუნქციებზე, სისტემის მოძრაობაზე და... მოსწავლეები ეკრანს ინტერესით ადევნებენ თვალს.

სანამ ჩვენი წერილის სათაურზე მოგახსენებდეთ, ორიოდე სიტყვით გაგაცნობთ მეცნიერს, რომელიც დღეს ჩვენი ნომრის სტუმარია.

გოჩა გიორგის ძე ჩოგოვაძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მართვის ავტომატიზებული სისტემის კათედრის გამგე. 1981 წლის იანვრიდან მუშაობს პარიზში, იუნესკოს შტაბ-ბინაში, ერთ-ერთი სექციის გამგეა, რომლის სახელწოდება გახლავთ „ინფორმატიკის გამოყენება სწავლებაში“.

აღსანიშნავია, რომ სულ ახლახანს ნაყოფიერი მეცნიერული მუშაობისათვის გ. ჩოგოვაძე „საპატიო ნიშნის“ ორდენით იქნა დაჯილდოვებული. ამ დღეებში თბილისის უნივერსიტეტის გამამცენარეობამ დასტამბა გ. ჩოგოვაძის წიგნი „მართვის ავტომატიზებული სისტემების აგების საფუძვლები“, რომელიც უმაღლესი სასწავლებლის საინჟინრო სპეციალობათა სტუდენტებისათვის არის გამიზნული.

მაშასადამე, დღის წესრიგში დგება გამოთვლითი ტექნიკის მეტახა სკოლაში, როგორც სწავლებაში მასწავლებლის დამხმარე საშუალება. ეს კი მეტად დიდი პრობლემაა.

ჩვენი სექციის ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობაა გამოთვლითი ტექნიკის დარგში, კერძოდ, სწავლებაში არსებული უახლესი მიღწევების გაცვლა-გამოცვლა სხვადასხვა ქვეყანას შორის.

— **რას გულისხმობს პედაგოგიკაში გამოთვლითი ტექნიკის გამოყენება, როგორც მასწავლებლისათვის დამხმარე საშუალება?**

— სულ სხვაა, როცა მასწავლებელი, მაგალითად, გაკვეთილის დროს რუკაზე მოსწავლეებს უჩვენებს ამა თუ იმ ქვეყანას და ილუსტრაციებს მის შესახებ, და სხვა შთაბეჭდილებაა, როცა იმავე ქვეყანას მოსწავლე ტელევიზიის ეკრანზე ნახავს. შემეცნების თვალსაზრისით, რასაკვირველია, ეკრანს უპირატესობა მიეცემა. ასეა სხვა საგნებშიც. მაგრამ სწავლება, რომ ნამდვილად ნაყოფიერი იყოს, მთავარია სწორი პედაგოგიური მეთოდიკის შექმნა. ამისათვის მრავალ ქვეყანაში გახსნილია პედაგოგთა მოსამზადებელი ცენტრები, პროგრამების გაცვლის პუნქტები. პროგრამები ისეთნაირად უნდა იყოს შედგენილი, რომ მოსწავლემ ამ საგნისადმი ინტერესი არ დაკარგოს. მიკრომანქანების გამოყენება ნებისმიერი საგნის სწავლებისთვის შეიძლება.

სწავლების მეთოდიკის შედგენის დროს, მასწავლებელმა თვისი საგანი ახალი პოზიციიდან უნდა წარმოიდგინოს. ამავე დროს, იგი პროგრამირებაში უნდა იყოს გარკვეული, რომ მისი დაწერა შეძლოს, და თუ თვითონ პროგრამის დაწერა გაუჭირდა, მას ამ საქმეში პროგრამისტები დაეხმარებიან.

მაგრამ აქ მაინც თავიდათავი თვითონ მასწავლებელია. ყველაფერი გასაგები უნდა იყოს, რომ მასწავლებლის შეცვლაზე კი არ არის ლაპარაკი, ამგვარი მიკრომანქანები პედაგოგს მხოლოდ მისი შრომის ეფექტიანობის გზაზე ეხმარება.

თანამედროვე ტექნიკური საშუალება, რომელიც კლასში დაიდგმება, მასწავლებლის დამხმარე იქნება. ტელეეკრანზე აისახება მთელი ის ინფორმაცია, რომელიც მასწავლებელს სჭირდება გაკვეთილის წარმართვისას.

იმის გასარკვევად, თუ რა შედეგს იძლევა ასეთი მეთოდით სწავლება, ინგლისში ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი ჩაატარეს. გამოირკვა, რომ ახალი მეთოდით სწავლებისას, მოსწავლეთა სამოცდაათი პროცენტი გაკვეთილის მიმართ უფრო ყურადღებიანი იყო, ვიდრე ჩვეულებრივი მეთოდით სწავლებისას.

მეორე უპირატესობა კიდევ ის გახლავთ, რომ ბავშვები ტელეეკრანის მიმართ უფრო გამბედავნი არიან. მოსწავლეებს მანქანისა არ ერიდებათ. ვთქვათ, სწორად ვერ ამოხსნა ამოცანა და მანქანამ ეს აღნიშნა, ბავშვი ახლა ხელმეორედ ხსნის ამოცანას. იგი მანქანასთან უფრო ადვილად ეგრძნობს თავს, თბილისის თამაშობს.

ინფორმატიკის გამოთვლითი ტექნიკის შემოჭრას სწავლებაში თავისი მოწინააღმდეგეებიც ჰყავს, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენ ოცდამეერთე საუკუნის კარიბუჭესთან ვდგევართ, ჩვენს პირველკლასელს ოცდამეერთე საუკუნეში მოუხდება მუშაობა, როცა გამოთვლითი ტექნიკა მაღალ დონეზე იქნება და იგი ამისთვის აქედანვე უნდა მოვამზადოთ.

გამოთვლითი მიკროტექნიკის სწავლებაშიც ორი მიმართულებაა. ერთნი ამბობენ, რომ ინფორმატიკა, როგორც საგანი, სკოლაში უნდა ისწავლებოდეს. მეორენი აღნიშნავენ, მას როგორც საგანს ნუ ვასწავლით, გამოთვლითი ტექნიკა სხვა საგნების სწავლებაში გამოვიყენოთო. ჩემი აზრით, ერთი მეორეს არ უნდა უშლიდეს ხელს. საჭიროა ისწავლებოდეს როგორც საგანი, და ამავე დროს ინფორმატიკის საშუალებანი გამოიყენებოდეს სხვა საგნების სწავლებაში.

ამჟამად უკანასკნელ მიღწევად ითვლება გაკვეთილების ჩაწერა. ვიდეოფირფიტაზე. ამ ფირფიტას გამოსახულებაც აქვს და ხმაც. პარიზის ერთ-ერთ ლიციუმში მოწმე გავხდი ისეთი ექსპერიმენტისა, როცა ამ ვიდეოფირფიტის საშუალებით ატარებდნენ გაკვეთილს, მაგალითად, ისტორიაში. აი ეს როგორ ხდებოდა.

მასწავლებელი იწყებს თხრობას მეორე მსოფლიო ომზე. აღნიშნავს, რომ 1939 წლის 1 სექტემბერს ფაშისტები ვერაგულად დაესხნენ თავს პოლონეთს. თვალსაჩინოებისათვის მასწავლებელი ვიდეოფირფიტას ჩართავს, ეკრანზე ჩნდება პოლონეთზე გერმანელთა თავდასხმის დოკუმენტური კადრები. მიკროელექტრონული მანქანა გამორთავს ფირფიტას და პედაგოგი განაგრძობს გაკვეთილის ახსნას.

ასეთი — ვიდეოფირფიტების ექსპერიმენტის გამოყენება სწავლებაში დიდად ეხმარება პედაგოგებს. ამ მეთოდს დიდი მომავალი აქვს.

— **ახლა რას გვეტყვით ტელეტელის შესახებ?**

„ექსპერიმენტი სახელწოდებით ტელე-ტელი საფრანგეთში ეწყობა. მისი არსი ასეთია: 2000 ოჯახში ტელევიზორთან შეაერთეს სპეციალური მოწყობილობა, რომელსაც აქვს კლავიატურა, ამ მოწყობილობას ტელევიზორის საშუალებით უერთებენ ცენტრალურ გამოთვლითს სისტემას და ნებისმიერ შეკითხვაზე ტელევიზორის ეკრანზე მისი პასუხი ჩნდება.

ვთქვათ, პარიზელს აინტერესებს შეიტყოს როგორი ამინდია ლონდონში. იგი კლავიშს აჭერს ხელს და ეკრანზე პასუხი იწერება. ანდა, ვთქვათ, აინტერესებს შეიტყოს, მის საყვარელ ფეხბურთის გუნდს როდის აქვს მორიგი შეხვედრა, პასუხს იმავე მეთოდით ტელეეკრანიდან იღებს და ა. შ. მაგრამ ადამიანს არა მარტო სათანადო ცნობების მიღება შეუძლია, ამ სისტემის დახმარებით სახლიდან გაუსვლელად [illegible] მიერ საქონელი შეიძინოს. [illegible] ვეთოს და იყიდოს. ამისათვის ტელე-ტელის რომელიმე დიდ სავაჭრო კომპლექსს უეროებენ და სასურველ ნივთს იძენენ.

— **მაგრამ ასეთი რამ ადამიანს ხომ არ გააზარმაცებს? იგი ნაკლებს იმოძრავებს, ნაკლებს ივლის.**

— დიახ, ამ ექსპერიმენტს სწორედ მაგ თვალსაზრისით თავისი მოწინააღმდეგენიც ჰყავს, მაგრამ, ალბ, წარმოიდგინეთ მოხუცები, ინვალიდები, რომლებსაც სიარული უჭირთ, მათთვის ეს ხომ შესანიშნავი დახმარებაა.

მიკროელექტრონული გამოთქლითი მანქანები წინათ ძალიან ძვირი იყო. ახლა მნიშვნელოვნად გაიაფდა (დაახლოებით 100 დოლარამდე). ამან გაზარდა ამ მიკრომანქანების სწავლებაში გამოყენების შესაძლებლობა.

ვფიქრობ, მომავალი მიკროელექტრონულ მანქანებს ეკუთვნის და ამ ექსპერიმენტით ჩვენი პედაგოგებიც უნდა დაინტერესდნენ.

ლარისა ხუბულური,
რედაქციისაგან: ჩვენი გაზეთის მკითხველებს გვინდა ვაცნობოთ, რომ ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. ჩოგოვაძე გაზეთ „ლომონისტის“ კორესპონდენტი იქნება საფრანგეთში. იგი რეგულარულად გამოგვიგზავნის, როგორც თქვენი დარგის ტექნიკურ ნიასლეთა შესახებ წერილებს, ისე საფრანგეთისაგან კავშირის კულტურული ცხოვრების ამსახველ მასალებს.

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზელსაწყოს“ ანალიზური ტექნიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებმა შექმნეს იონსელექციური ელექტროდები. მათი საშუალებით ხდება ხსნარებში იონების მცირე კონცენტრაციის გაზომვა. ახალი პროდუქციის პირველი პარტია გამოუშვა გაერთიანების საცდელი ქარხნის ელექტროდების უბანმა. აქ უკვე დაამზადეს ათი ათასზე მეტი ახალი სახის ნაწარმი.

სურათზე: ინსტიტუტის განყოფილების გამგე არჩილ ხუციშვილი, ელექტრული ხელსაწყოების საცდელი ქარხნის ელექტროდების უბნის ხელმძღვანელი იულია ტარასოვა და ლაბორანტი ირინე ხაკიანი ამოწმებენ იონსელექციური ელექტროდების მუშაობას.

გ. კიკვიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ერთი ქმაწვილია

ბენიკ სეირანიანი

ვერა და ვერ მირწმუნია, როგორ მომხდარა, რომ კაცობრიობას თვალსაწიერიდან გამორჩენია ბოსფორის ულამაზესი სრუტე და შვიდი სასწაულისათვის მერვე საოცრებად არ დაუმატებია იგი.

ალბათ მას მხედველობაში ჰქონია მხოლოდ ადამიანის ხელქმნილი ნაკეთობანი. მაგალითად, ეგვიპტის სახელგანთქმული პირამიდები, ოლიმპოს მთაზე აღმართული ზევსის ქანდაკება, სვმირამიდას დაკიდებული ბაღები ბაბილონში...

სხვაა ბოსფორი, სულ სხვა, მეტადრე მაშინ, როცა გაზაფხულია და მთელი ეშხით ყვავიან ნუშისა და გარგარის ხეები.

ჩვენი თბომავალი „უკრაინა“ ბოსფორში აპრილის ბოლო დღეს შევიდა განთიადის ჟამს.

მარცხნივ, გვარიანად მოზრდილ გორაკზე რუმელი ჰისარით მოჩანდა, ცაში აწვდილი კოშკებით ცნობილი მრისხანე ციხესიმაგრე. ამ ციტადელზე ფეხმოკიდებულმა მუჰამედ II 1453 წელს დაიპყრო კონსტანტინოპოლი, დაამარცხა კონსტანტინე დრაგასი და მასთან ერთად დაემხო დიდი ბიზანტიონიც, ათი საუკუნის განმავლობაში დიდმნიშვნელოვან როლს რომ ასრულებდა შუა საუკუნეების ისტორიაში. იმ დღიდან მოყოლებული დაიხშო კაკკასიის ხალხებისათვის ევროპისაკენ მიმავალი უმოკლესი გზა.

სრუტის აღმოსავლეთ ნაპირზე, რუმელი ჰისარის პირისპირ, აღმართულია ანადოლე ჰისარი, ნახტომისათვის მომზადებული ვეფხვის თათის მსგავსი ციხე სიმაგრე. ხოლო იქ, სადაც სრუტე უკანასკნელად უხვევს და მარმარილოს ზღვას ერთვის, მუქი-მოლურჯო ცის ფონზე თეთრად ქანთქმეტენ მიზგიოებიდან უსაზღვროებაში ასვეტილი მინარეთები.

ძველ მეჰატანეთა გადმოცემით, ჯერ კიდევ 330 წელს, როდესაც კონსტანტინე კეისარს თავისი სატახტო ქალაქი რომიდან მარმარილოს სანაპიროზე დაუფუძნებია, მთელი ქვეყნიერების სამდიდრის ორი მესამედი ამ ქალაქის წილად მოდიოდა თურმე, ერთი მესამედი კი მსოფლიოს დანარჩენ ნაწილებში ყოფილა თავმოყრილი.

ბიზანტიის დამხობის შემდეგ კონსტანტინოპოლს ისტამბული ეწოდა, ჭირე — სტამბოლი. ამჟამად სტამბოლი თურქეთის მეორე ქალაქია, თუმცა მოსახლეობის სიმრავლით პირველ ადგილზეა.

ბოსფორის ნაპირები თანდათან დავიწროვდა თუ არა, ჩვენი თბომავალი „ოქროს რქად“ წოდებულ ცობილ უბეში შევიდა, სადაც საერთაშორისო სამგზავრო დიდი გემების ერთ-ერთი მსგავი ნავსაყუდელია — სტამბოლი.

უცხოეთში ჩვენი მოგზაურობის განრიგი იქითობისას თურქეთში გაჩერებას არ ითვალისწინებდა, ამიტომ ჯერ მოვიარეთ საბერძნეთი, ეგვიპტე, კვიპროსი და უკან რომ ვბრუნდებოდით, სტამბოლის ნაპირზე დავბიჯეთ ფეხი.

ჩვენი გიდი ყმაწვილი კაცი იყო, ცისფერთვალება, პირტიტველ სახეზე ქერა-მოწითალო ფერი დაჰკრავდა. გაცნობისას შევატყვეთ, ძალიან სიამოვნებდა მამის სახელით მიმართვა, ამიტომ გადაწყვიტეთ ყოველთვის „ივან ანდრეევიჩის“ სახელით მიგვმართა.

ჩვენი გიდი ზედმიწევნით კარგად ფლობდა მშობლიურ ენას და ამის წყალობით საბჭოთა ტურისტების ექსკურსიამძღოლი გამხდარა.

მისი დახმარებით დავათვალიერეთ ძველი ქალაქის ღირსშესანიშნაობანი. საქვეყნოდ სახელგანთქმული არქიტექტორის ძეგლები — აია-სოფია, „ლურჯი მიზგითი“, თოფ-ხანა-უმდიდრესი მუზეუმი, სადაც ინახება ის საგანძური, რომელიც საუკუნეების მანძილზე თურქ სულთნებს სხვადასხვა ქვეყნიდან ძღვნად მიუღიათ ანდა, მეტწილად, დაუტაცნიათ. ვიყავით „სიყვარულის გორაკის“ სახელწოდებით ცნობილ თვალწარმტაც მაღლობზე.

მაგრამ ჩემი მოგზაურობის თემა ამას არ შეეხება და არც მეზსიერებაში შემონახული იმ შთაბეჭდილებებისათვის ხარკის გაღებაა, მწერლის გულს წლების მანძილზე რომ უტარებია, მერე კალამი აუღია, ქაღალდზე გადაუტანია და შეგება უგრძვნია.

ძართალი გითხრათ, ახლა არც ის ვიცი, რა დავარქვა ამ ჩემს ნაღვაწს — ნარკვევი? რეპორტაჟი? დოკუმენტური პროზა თუ რომელიმე სხვა ჟანრის ნაწარმოები?.. მხოლოდ ის ვიცი, არ შეეძლო არ დამეწერა, ერთი დღეც იქნებოდა და დავწერედი, უთუოდ უნდა დაწერილიყო, რადგან სამუდამოდ ვერ შევინახავდი გულში...

თავიდან დამავიწყდა მეთქვა, რომ ჩვენი — საქართველოს ტურისტული ჯგუფის ექსკურსიამძღოლი ივან ანდრეევიჩი ამავე დროს ქალაქის ინგლისური კოლეჯის სტუდენტი იყო. თავისი მოღვაწეობის ასპარეზის გაფართოების მიზნით იგი ინგლისურსაც სწავლობდა, რათა მომავალში ინგლისური ენის მცოდნე ტურისტებისათვისაც გაეწია მომსახურება.

გაცნობის პირველსავე დღეს ჩვენს ავტობუსში გამოცხადდა ივან ანდრეევიჩის თანატოლი ახალგაზრდა,

გიდმა იგი წარმოგვიდგინა ძალზე მუნწად, სულ ორიოდე სიტყვით:

— კოლეჯელი ამხანაგია.

ცოტა გვიან სახელიც შევიტყვეთ, ესმაილი ერქვა. არავის განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია მისთვის. ჩვენთვის ნაცნობ ორ სიტყვას „კოლეჯელი ამხანაგია“, ერთი სიტყვა მიემატა „ისმაილი“. ეს იყო და ეს.

მაგრამ გაცნობის წუთიდან მოყოლებული სტამბოლიდან ჩვენი გამომგზავრების წუთამდე, ეს ახალგაზრდა, ისმაილი რომ ერქვა, გვეკრიდიდან ალარ მოგვშორებია, თან გვახლდა ყველგან, სადაც კი მივდიოდით, თავისთვის იჯდა ავტობუსის ბოლო სკამზე, რომელიც მუდამ თავისუფალი იყო, არავინ არ ელაპარაკებოდა, რადგან ჩვენი ენა არ იცოდა და მხოლოდ მაშინ გვესმოდა მისი თურქული ან ინგლისური, როცა თანაკლასელი რაიმე თხოვნით მიმართავდა.

თანაკლასელის ცისფერი თვალებისა და ქერა-მოწითალი სახის საპირისპიროდ ისმაილს ერთმანეთზე გადაბმული შავი წარბები და გიშერივით შავი დიდრონი თვალები ჰქონდა, რომელთა გამოხედვაში გასაოცარი სევდა, იდუმალი რწმენა და ბავშვური რიდი გამოუკრთოდა.

უცხო ქვეყნიდან უცხო ქალაქში ჩამოსული ჩვენი ტურისტული ჯგუფის განრიგი შეკუმშული იყო, იგი იმდენი რამის ნახვას თვალისწინებდა, დრო არ გვრჩებოდა ისმაილისთვისაც მიგვეხედა, მაგრამ მე მაინც შევნიშნე, რომ ისმაილს ჭკუა-გონება ჩვენსკენ ჰქონდა მოპყრობილი, — თავის შორეულ კუთხეში განმარტოებული ყმაწვილის თვალსწიერში ჩვენ ვიყავით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მგზავრობის დროს ჩვენები სიმღერას წამოიწყებდნენ და ავტობუსის სალონი ტკბილი ჰანგებით იგსებოდა.

ცნობილი ამბავია, ქართველებს უყვართ სიმღერები!..

მთელი ერთი თვე, პირეიში ვიყავით თუ ათენში, ალექსანდრიაში თუ კაიროში, პორტ-საიდში თუ ნიქოზიაში — ყველგან ჩვენი თანამგზავრი იყო გუნდური სიმღერა.

სიმღერის მოყვარული ბიჭი ჩანდა ისმაილიც, იგი გრძნობამორეული სიხარბით ნთქავდა ამ ჰანგებს, სულიერად მაღლდებოდა, აქაურობას შორდებოდა, იცვლებოდა, სხვა ქვეყნებში მიდიოდა, სხვა მზეებით, სხვა მოკაშკაშე ვარსკვლავებით გაციისკროვნებულ ცის ქვეშეთში ისწრაფოდა თითქოს.

გასაოცარი და შესაშური გულითადობა, საზიარო ერთგულება და ერთმანეთის მხარში დგომა აკავშირებდა ამ ორ ჭაბუკს.

— თავად არ ინდომა. ერიდება, ქართული ერთი სიტყვაც არ ვიცი, რას იტყვიან თანამემამულენიო... თქვენთვის შეიძლება ამის გამხელა.

გიდმა პაუზა გააკეთა, მერე ამოიოხრა და დაუმატა:

— გასაოცარი ძალა აქვს სიხსლს! ასე არ არის?..

დასტურ, რომ გასაოცარი ძალა აქვს.

დიდი ხნის დავიწყებულია ყველაფერი, ალიკვალიც წამლილია, ხსოვნაც, რწმენაც, წარმოიდგინეთ, ინაც... და მაინც, დარჩენილა ერთი უმთავრესი რამ: სისხლის ყივილი, სისხლის ძახილი, იგი ცოცხლობს და თავისკენ უხმობს...

ჩვენს უკან სავარძელზე ქართველი ქალიშვილი იჯდა. როგორც ჩანს, მან ყური მოჰკრა ჩვენს სუბარს, ოდნავ გადმოიხარა ჩვენსკენ.

— ისმაილ!..

ბიჭი უმალ მიტრიალდა მისკენ და მათი მზერა ერთმანეთს შეხვდა თუ არა, თითქოს ორი ნაპერწკალი ჩაეწნა-ჩაეხვია ერთმანეთს (მეორთო ჩემო! კვეს ფოლადის შეხება ვერ გააჩენდა ასეთ ნაპერწკლებს, ამათ თვალებში რომ იელვა!).

— შენ მართლა გურჯი ხარ?

არა და არა, ეს კითხვა არ იყო, ქალიშვილის ხმა ცეცხლისგან ავარდნილი ნაპერწკლების ტკაცუნს უფრო ჰგავდა.

დიდრონი თვალები ყმაწვილს ცრემლით ამოვესო და შიგ უსაზღვრო ნატვრა ჩაგუბდა.

ახლა ძალა არ შემწევს სიტყვებით გამოვხატო ყველაფერი ის, რაც ისმაილს საიდუმლოს გამხელას მოჰყვა.

თვალისდახამხამებაში ავტობუსის სალონი უჩვეულოდ გამოცოცხლდა, ერთმანეთს ენაცვლებოდა სიხარული და ცრემლი. ბიჭი ხელიდან ხელში გადადიოდა, ეხვევოდნენ, მხურვალედ კოცნიდნენ, ერთი სიტყვით, სულის სიღრმიდან მოდენილ გრძნობათა ნამდვილი ფეიერვერკი იდგა სალონში.

და თუმცა ჩვენი ტურისტული მოგზაურობის ბოლო ქალაქი სტამბოლი იყო, საიდანაც სამშობლოში უნდა დავბრუნებულიყავით, და, ბუნებრივია, სამახსოვრო სუვენირები ალარ გვქონდა, მაინც აღმოჩნდა გასაცემი, ყველაფერი აღმოჩნდა, რაც საჭირო იყო, რაც ჩვენი გულის სითბოს გამოხატავდა. და ასე მოხდა იმიტომ, რომ ჩვენმა ქალებმა თუ გოგონებმა, კაცებმა თუ ბიჭებმა არაფერი დაიშურეს, ყოველმა მათგანმა რაღაც გულის სახსოვარი დაუტოვა ისმაილს...

და როცა ქალები ყელსაბამებს იხსნიდნენ, გოგონები კი თითებიდან ბეჭედებს იძრობდნენ და ისმაილს ჩუქნიდნენ, მე უნებურად გამახსენდა ის შორეული წარსული ჩვენი მეგობარი ხალხებისა, ამგვარ ერთგულებას რომ იჩენდნენ, გულის კარნახით მსხვერპლს რომ იღებდნენ, თუმცა ამას, ალბათ, მსხვერპლის გაღება არც ეწოდება.

როგორი გასაოცარი მსგავსებაა ბედისწერისა! როგორი საოცარი დამთხვევაა მწუხარებაგამოვლილი ორი ხალხისა!

და აი, გამოხდა ხანი, ერთმანეთს მისდევენ წლები, მაგრამ მე მაინც დღევანდელ დღესავით მახსოვს სტამბოლში მომხდარი ამბავი, ვერა და ვერ მივეცი დავიწყებას, რომ იქ, შორეულ სტამბოლში, ერთი ქართველი ყმაწვილია, ისმაილი, რომელსაც თვალებში გამოუკრთის უსაზღვრო ნატვრა!

ნუთუ შემეძლო ამის დავიწყება!

არა და არა!..

სომხურიდან თარგმნა
ა. დავითიანმა.

ტელეფონი

საინტერესო ექსპერიმენტი

ბ. ჩოგოვაძე შვებულებით თბილისში იყო ჩამოსული, ჩვენ შევხვდით მას და ვთხოვეთ „კომუნისტის“ მკითხველებისათვის გაეცნო, რა მუშაობას ეწევა იუნესკოს ის სექცია, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს.

— მოგეხსენებათ, მიკროელექტრონული მანქანები თანდათანობით სულ უფრო იპყრობენ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. მას საოცარი გარდაქმნები მოაქვს ადამიანებისათვის. მაგალითად, მოგზაურობისას შეიძლება თან გქონდეთ ეგრეთწოდებული, „ჯიბის“ ელექტრონული მანქანა ინფორმაციის ბანკი, რომელიც დიდ დახმარებას გაგიწევთ თქვენთვის საინტერესო საკითხებზე მუშაობისას, უცხო ენის შესწავლა იქნება ეს, თუ საკუთარი ბიუჯეტის გაანგარიშება. მიკროელექტრონული მანქანები აფარფოტებს ადამიანის მეხსიერებას. გამოთვლითი ტექნიკის ასეთი განვითარების გამო, თვით ცხოვრებამ მოიტანა, რომ ახალგაზრდობა აქედანვე მოვამზადოთ იმის შესასწავლად, რაც ამ კულტურულ ფენომენს მოაქვს. ბევრ ქვეყანაში გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებას ისე არიან შეჩვეული, ეს საქმე მათთვის ისეა გაიოლებული, როგორც, მაგალითად, ჩვენთვის ბინაში სინათლის ჩართვა.

— **რას გულისხმობს პედაგოგიკაში გამოთვლითი ტექნიკის გამოყენება, როგორც მასწავლებლისათვის დამხმარე საშუალება?**

— სულ სხვაა, როცა მასწავლებელი, მაგალითად, გაკვეთილის დროს რუკაზე მოსწავლეებს უჩვენებს ამა თუ იმ ქვეყანას და ილუსტრაციებს მის შესახებ, და სხვა შთაბეჭდილებაა, როცა იმავე ქვეყანას მოსწავლე ტელევიზიის ეკრანზე ნახავს. შემეცნების თვალსაზრისით, რასაკვირველია, ეკრანს უპირატესობა მიეცემა. ასეა სხვა საგნებშიც. მაგრამ სწავლება, რომ ნამდვილად ნაყოფიერი იყოს, მთავარია სწორი პედაგოგიური მეთოდიკის შექმნა. ამისათვის მრავალ ქვეყანაში გახსნილია პედაგოგთა მოსამზადებელი ცენტრები, პროგრამების გაცვლის პუნქტები. პროგრამები ისეთნაირად უნდა იყოს შედგენილი, რომ მოსწავლემ ამ საგნისადმი ინტერესი არ დაკარგოს. მიკრომანქანების გამოყენება ნებისმიერი საგნის სწავლებისთვის შეიძლება.

სწავლების მეთოდიკის შედგენის დროს, მასწავლებელმა თვისი საგანი ახალი პოზიციიდან უნდა წარმოიდგინოს. ამავე დროს, იგი პროგრამირებაში უნდა იყოს გარკვეული, რომ მისი დაწერა შეძლოს, და თუ თვითონ პროგრამის დაწერა გაუჭირდა, მას ამ საქმეში პროგრამისტები დაეხმარებიან.

მაგრამ აქ მაინც თავიდათავი თვითონ მასწავლებელია. ყველაფერი გასაგები უნდა იყოს, რომ მასწავლებლის შეცვლაზე კი არ არის ლაპარაკი, ამგვარი მიკრომანქანები პედაგოგს მხოლოდ მისი შრომის ეფექტიანობის გზაზე ეხმარება.

თანამედროვე ტექნიკური საშუალება, რომელიც კლასში დაიდგმება, მასწავლებლის დამხმარე იქნება. ტელეეკრანზე აისახება მთელი ის ინფორმაცია, რომელიც მასწავლებელს სჭირდება გაკვეთილის წარმართვისას.

იმის გასარკვევად, თუ რა შედეგს იძლევა ასეთი მეთოდით სწავლება, ინგლისში ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი ჩაატარეს. გამოირკვა, რომ ახალი მეთოდით სწავლებისას, მოსწავლეთა სამოცდაათი პროცენტი გაკვეთილის მიმართ უფრო ყურადღებიანი იყო, ვიდრე ჩვეულებრივი მეთოდით სწავლებისას.

მეორე უპირატესობა კიდევ ის გახლავთ, რომ ბავშვები ტელეეკრანის მიმართ უფრო გამბედავნი არიან. მოსწავლეებს მანქანისა არ ერიდებათ. ვთქვათ, სწორად ამოხსნა ამოცანა და მანქანამ ეს აღნიშნა, ბავშვი ახლა ხელმეორედ ხსნის ამოცანას. იგი მანქანასთან უფრო ადვილად გრძნობს თავს, თბილისის თამაშობს.

ინფორმატიკის გამოთვლითი ტექნიკის შემოჭრას სწავლებაში თავისი მოწინააღმდეგეებიც ჰყავს, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენ ოცდამეერთე საუკუნის კარიბუჭესთან ვდგევართ, ჩვენს პირველკლასელს ოცდამეერთე საუკუნეში მოუხდება მუშაობა, როცა გამოთვლითი ტექნიკა მაღალ დონეზე იქნება და იგი ამისთვის აქედანვე უნდა მოვამზადოთ.

გამოთვლითი მიკროტექნიკის სწავლებაშიც ორი მიმართულებაა. ერთნი ამბობენ, რომ ინფორმატიკა, როგორც საგანი, სკოლაში უნდა ისწავლებოდეს. მეორენი აღნიშნავენ, მას როგორც საგანს ნუ ვასწავლით, გამოთვლითი ტექნიკა სხვა საგნების სწავლებაში გამოვიყენოთო. ჩემი აზრით, ერთი მეორეს არ უნდა უშლიდეს ხელს. საჭიროა ისწავლებოდეს როგორც საგანი, და ამავე დროს ინფორმატიკის საშუალებანი გამოიყენებოდეს სხვა საგნების სწავლებაში.

ამჟამად უკანასკნელ მიღწევად ითვლება გაკვეთილების ჩაწერა. ვიდეოფირფიტაზე. ამ ფირფიტას გამოსახულებაც აქვს და ხმაც. პარიზის ერთ-ერთ ლიციუმში მოწმე გავხდი ისეთი ექსპერიმენტისა, როცა ამ ვიდეოფირფიტის საშუალებით ატარებდნენ გაკვეთილს, მაგალითად, ისტორიაში. აი ეს როგორ ხდებოდა.

მასწავლებელი იწყებს თხრობას მეორე მსოფლიო ომზე. აღნიშნავს, რომ 1939 წლის 1 სექტემბერს ფაშისტები ვერაგულად დაესხნენ თავს პოლონეთს. თვალსაჩინოებისათვის მასწავლებელი ვიდეოფირფიტას ჩართავს, ეკრანზე ჩნდება პოლონეთზე გერმანელთა თავდასხმის დოკუმენტური კადრები. მიკროელექტრონული მანქანა გამორთავს ფირფიტას და პედაგოგი განაგრძობს გაკვეთილის ახსნას.

ასეთი — ვიდეოფირფიტების ექსპერიმენტის გამოყენება სწავლებაში დიდად ეხმარება პედაგოგებს. ამ მეთოდს დიდი მომავალი აქვს.

— **ახლა რას გვეტყვით ტელეტელის შესახებ?**

„ექსპერიმენტი სახელწოდებით ტელე-ტელი საფრანგეთში ეწყობა. მისი არსი ასეთია: 2000 ო

პირველი ზარის მოლოდინში...

უველაზე უფრო აქ იგრძნობა კარს მომდგარი ახალი სასწავლო წელი: თბილისის რკინიგზელთა სახლში, ტრადიციისამებრ, 15 აგვისტოდან გაიხსნა სასკოლო ბაზრობა. ბაზრობაზე მრავალად არიან მოსწავლეებიც და მათი მშობლებიც, მასწავლებლები და პიონერული მუშაკები, ყველანი, ვისთვისაც პირველი სექტემბრის დადგომა და ნანატრ სკოლასთან შეხვედრა ნამდვილი დღესასწაულია.

არჩევანი დიდია და მრავალფეროვანი. „ბავშვთა სამყაროს", თბილისტანსაცმელეკავშრობის ცენტრალური უნივერმაღის, თბილისმრეწვეკავშრობ ი ს ა და თბილისფეხსაცმელეკავშრობის კოლექტივებს რიგიანად უზრუნიათ საიმისოდ, რომ გულდაწყვეტილი არავინ დარჩეს. ყოველდღიურად მიმხმარებელი 40-45 ათასი მანეთის საქონელს იძენს.

ოღონდ ეს არის, სასკოლო ბაზრობის დირექტორი ვენერა კოროხაშვილი წუხს, რომ ჯერ კიდევ არ ჩანს უმაწვლეების ნაზაფხულო პიონერული ფორმა და ასფურცლიანი ცალხაზიანი რვეულები. დრო კი არ ითმენს. კიდევ ცოტაც და დარეკავს სექტემბრის ზარი...

 სურათებზე: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება;

ეს ღიმილიანი ბიჭი, პატარა გიორგი ფავლენიშვილი, დღეს პირველად იხინჯავს მოსწავლის ფორმას. ამ სერიოზულ საქმეში ახალბედა მოსწავლის მზრუნველობს თბილისტანსაცმელეკავშრობის № 18 მაღაზიის გამყიდველი ნინო მარტიროსიანი;

ორი, ოთხი, ექვსი... თბილისის ცენტრალური უნივერმაღის გამყიდველი ელენე გოგოლაური სასკოლო ბაზრობაზე.

მათ უკვე შეეძინეს ლამაზი ჩანთები და ახლა შინ მიმავალნი გულდადინჯებით მსჯელობენ ხვალინდელ დღეზე...

ვ. გენგიური.
ავტორის ფოტოები.

დრო, ავტოტრანსპორტი, პერსპექტივები

სახალხო მეურნეობის განუხრელი აღმავლობა თავისთავად ითვალისწინებს საავტომობილო ტრანსპორტის შემდგომ განვითარებას, საგზაო მშენებლობის გაფართოებას, საავტომობილო პარკის ზრდას, აგრეთვე მგზავრთა სანიმუშო მომსახურებას, ტრანსპორტის სრულყოფილ ტექნიკურ აღჭურვას.

ქვეყნის ავტომობილიზაციის მძლავრ პროცესს თან ახლავს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების ზრდა, რაც მსხვერპლს, დასახიჩრებას, მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს იწვევს.

რესპუბლიკის საავტომობილო გზებზე ამჟამად ყოველწლიურად ათასამდე კაცი იღუპება და 4-ჯერ მეტი სხეულის სხვადასხვა კატეგორიის დაზიანებას იღებს.

მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა უკანასკნელ ხანებში ერთ-ერთი დიდი პრობლემა გახდა. მისი გადაწყვეტა მხოლოდ კომპლექსურად — ეკონომიკური, ტექნიკური, ორგანიზაციული, სამართლებრივი და სხვა ღონისძიებებით შეიძლება.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა რიცხვზე უდიდეს გავლენას ახდენს მძღოლთა კადრების აღზრდისა და მომზადების ხარისხი, სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობა, ქუჩებისა და გზების მოვლა-გაფართოება, მოძრაობის ორგანიზაცია. ძირითადი კი, მაინც მოძრაობის მონაწილეთა დისციპლინაა.

უკანასკნელ ხანს რესპუბლიკის მთელმა რიგმა სამინისტროებმა და უწყებებმა შეასუსტეს კონტროლი მათთვის გაპიროვნებულ სატრანსპორტო საშუალებებისადმი. მიმდინარე წლის 6 თვეში შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებმა გამოავლინეს 3 ათასზე მეტი ავტომანქანის მძღოლი, რომლებიც სახელმწიფო ტრანსპორტს პირადი გამორჩენისათვის იყენებდნენ.

ასეთები არიან ო. ნიკოლაძე, ო. ბოკორიშვილი, გ. ფერაძე, გ. გაჩეჩილაძე, ი. ახობაძე, ჭ. ჩუბინიძე — ზესტაფონიდან, ა. ხარჩილავა, ზ. ჟვანია, რ. თოდუა, ბ. მალანია, ზ. ხუბუა — ზუგდიდიდან, კ. გეგეშიძე, ლ. ჯორკავა, ო. ჭეიშვილი, გ. ფანცხავა, დ. გურეშიძე, დ. ჩოგოვაძე — წყალტუბოდან, ბ. ტაბატაძე, ა. პაპიძე, ა. ხაჩიძე, გ. მეტიეშვილი, გ. ციკვაძე, ა. კალიაშვილი—ხაშურიდან და სხვანი.

ამავე პერიოდში 2 ათასამდე მანქანა მძღოლებს ღამით თავიანთ ეზოებში ეყენათ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიმდინარე წლის 16 ივლისის განკარგულებით მთელ რიგ სამინისტროებსა და უწყებებს, მათ შორის სოფლის მეურნეობის, სასოფლო მშენებლობისა და კულტურის სამინისტროებს, „ცეკავშირს ჩამოერთვა კუთვნილი სახელმწიფო ავტომანქანები, რომლებიც სხვა უწყებებს გადაეცათ (სულ 30 ავტომანქანა). ამ მანქანების ნაწილი მძღოლებს განმეორებით ეყენათ თავიანთ ეზოში, ნაწილი კი დაიკავეს რესპუბლიკის გარეთ საიოფლო-სამეურნეო პროდუქტების გატანისათვის.

განსაკუთრებით შემაშფოთებელი მდგომარეობაა საუწყებო ავტობუსების ექსპლოატაციისა და ტექნიკური მომსახურების საქმეში. აღნიშნულ ავტობუსებს არავითარ კონტროლს არ უწევენ. ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს არ აინტერესებთ, თუ მთელი დღის განმავლობაში რას საქმიანობენ მათი ავტობუსების მძღოლები. მარტო თბილისში სხვადასხვა უწყების (საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს და „საქსოფლტექნიკის" სახელმწიფო კომიტეტის გარდა) ბალანსზე ირიცხება 1500-მდე სხვადასხვა მარკის ავტობუსი, რომლებიც ქალაქში ყოველგვარი გრაფიკისა და მარშრუტის გარეშე დაჭრიან.

საინტერესოა საუწყებო ტრანსპორტის გამოყენების ცელინოგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გამოცდილება. კერძოდ, სხვადასხვა ორგანიზაციის ავტობუსები საერთო საგზაებლის ავტობუსებთან პარალელურად ჩართულია მთელ რიგ მარშრუტებზე პიკ საათებში მგზავრთა გადასაყვანად. ამ ღონისძიების თბილისში დანერგვისათვის საჭირო იქნება მთელ რიგ წინააღმდეგობათა გადალახვა. ცხადია, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა საგრძნობლად გაუმჯობესებს მგზავრთა მომსახურებას.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსთან და რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატთან შეთანხმებით წინადადება შეიტანა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში განიხილონ საუწყებო ტრანსპორტის მუშაობის, ექსპლოატაციისა და ტექნიკური მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის წვრილი ავტომეურნეობების (1-დან 25 ავტომანქანამდე) რეგიონების მიხედვით გაერთიანების საკითხი. მიგვაჩნია, რომ გაერთიანება უნდა მოხდეს უწყებრივი დაქვემდებარებისაგან დამოუკიდებლად მსხვილ ავტომეურნეობებში (150-200 მანქანა), რომლებიც უნდა შევიდეს რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში, სათანადო უწყებებთან სამეურნეო ანგარიშსწორების საფუძველზე.

საკითხის ასეთნაირად გადაწყვეტა ხელს შეუწყობს უწყებების წილობრივი მონაწილეობით თანამედროვე მსხვილი ავტოგარაჟების მშენებლობას და ყველა იმ ნაკლის აღმოფხვრას, რომლებიც დაჩნაფსული წვრილი ავტომეურნეობების მუშაობაში შეინიშნება.

უწყებების ავტოტრანსპორტის ექსპლოატაციისა და ტექნიკური მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის საორგანიზაციო ღონისძიებების განხორციელებამდე ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების გადაუდებელი ამოცანაა სათანადოდ გაერკვნენ გაპიროვნებული ავტოტრანსპორტის მუშაობაში. სხვაგვარად წარმატება წარმოუდგენელია.

გ. ზურაშვილი,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი.

„საბჭოთა ხელოვნება" № 8

გამოვიდა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ყოველთვიური ჟურნალის „საბჭოთა ხელოვნების" მორიგი, მერვე ნომერი.

ჟურნალი იხსნება წერილით „თეატრის საუკეთესო გზა", რომელიც ეძღვნება ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის მე-100 წლისთავს.

რუბრიკით „შემოქმედებითი პორტრეტი" დაბეჭდილია წერილები: ნ. ნატროშვილის — გია ჭუბაბრია; ე. დავითაიას — ხათუნა ჭიჭინაძე.

გარდა ამისა, ჟურნალის ამ ნომერში დაბეჭდილია წერილები: ვ. ბერიძის — ქართული ხელოვნება შუა საუკუნეებში; გ. გვაზარიას — დიმიტრი ერისთავი — კინომხატვარი; ნ. ლეონიძის — ტელეგადაცემა თუ ვიდეოფილმი?; თ. ბერიძის — ძველი თბილისი; ლ. ლომთათიძის — ირაკლი გამრეკელი; გ. ყორდანიას — საგაზეთო მატიანიდან; ზ. სარჯველაძის — სასწაულებრივ გადარჩენილნი და სხვა საინტერესო მასალები.

შრომაც, გართობაც...

კარგი სიტყვა მათზე, ვინც სამაგალითოდ ემსახურება სოფლის მშრომელთა კულტურულ დასვენებას

ლთაგან ვოკალურ-ინსტრუმენტალისა და აგიტბრიგადის საქმიანობა მაინც გამორჩეულია.

ზაფხულის პერიოდში აგიტმხატვრული ბრიგადა ხშირად მართავს საველე კონცერტებს კოლმეურნეებთან. იდგილებზე ეწყობა შეხვედრები მექანიზატორებთან, მეჩაიეებთან და მესიმიდეებთან. მოწონაყვეს გადასცემენ ფასიან საჩუქრებს.

შარშან, გამოცდილების გაზიარების მიზნით, რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს შუამდგომლობით სოფლის წარმომადგენლები ლატვიას ესტუმრნენ. საინტერესო ბევრი ვნახეთ, — გვეუბნება შ. კინწურაშვილი, — ახალგაზრდობა აქ თავისუფალ დროს შინაარსიანად ატარებს. ჩვენს მუშაობაში მნიშვნელოვანი მომენტია ახალგაზრდობის მიგრაციის საკითხი, ამიტომ ეს პრობლემები დიდად გვაღელვებს. ლატვიელების გამოცდილებით გვინდა სოფელში დავნერგოთ „ახალგაზრდული საღამოები", რაც, ვფიქრობთ, სოფლის ახალგაზრდობას მოეწონება.

სოფელ ჩხორიის კულტურის სახლს სათავეში უდგას ენთუზიაზმითა და ხალისით სავსე ახალგაზრდა მ. შეროზია. მისი გულიანი საქმიანობის დანახვა სოფელზე უკეთ ვის შეუძლია. დღეს უკვე აღარავის უკვირს პლანტაციებიდან მობრუნებული გლეხკაცები სახლის მაგიერ კულტურის სახლს რომ მიაკითხავენ და იქ ქართული მრავალფაზიანი სიმღერის ფურფულესი ნიუანსების ძიებასა და შესწავლაში ატარებენ საღამოებს.

ახალგაზრდობაში დიდად პოპულარულია დრამატული წრის მუშაობა. ერთი კია, არა და არ დაადგა საველე ახალი კულტურის სახლის აშენებას. ოთახების უქონლობის გამო ჭირს წრეობრივი მუშაობაც, მაგრამ სოფელი მონდომებულია და მხარში უდგას ღირსეული საქმის ქომაგებს, ხოლო იქ, სადაც მონდომება და ერთსულოვნებაა, საქმეც წინ მიდის.

გასაკეთებელი კვლავაც ბევრია. ახალ და საინტერესო წამოწყებებს ელიან სოფლებში. ახალგაზრდული ძალა და შემართება, საქმის დიდი სიყვარული, შემოქმედებითი წვა და აღმფრენა მომავალ წარმატებათა უტყუარი საწინდარია.

ნ. თათელაძე.
ზუგდიდის რაიონი.

საქართველოს ქრონიკები

ბიჭვინთა — გაგრა

იალტაში ეცნობიან საქართველოს

მეგზური — ზურაბ ნიუარაძის მხატვრობა

იალტა. საკურორტო ქალაქის მცხოვრებნი და სტუმრები თავის მშობლიურ მხარეში სამოგზაურად მიიწვია საქართველოს **სახალხო** მხატვარმა ზურაბ ნიკარაძემ. მოსკოვში მისი ნაწარმოებების ექსპოზიციის ჩვენების შემდეგ იგი წარმოდგენილია ადგილობრივ საგამოფენო დარბაზში.

პირველმა მხატვრებმა აღნიშნეს ოსტატის შემოქმედების თავისებურება, მისი სიახლოვე ხალხური ხელოვნების სათავეებთან. ეროვნ. რესპუბლიკასა და მის ადამიანებს ეძღვნება ტილოები, „დილა", „ქუჩის სცენა", „ჩიტების გამყიდველი", „მეგადური ქალი", „დღე იწყება". მხატვრის ფართო ყაბრობრივ პალიტრას მოწმობს მრავალი პორტრეტი, ო. თაქთაქიშვილის ოპერა „პირველი სიყვარულის", მულტფილმების გაფორმების ესკიზები, ფ. რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელის", ლ. კეროლის „ალისა საოცრებათა ქვეყანაში" ილუსტრაციები. აქვეა იტალიაში, საბერძნეთსა და სხვა ქვეყნებში შემოქმედებითი მოგზაურობის დროს შექმნილი სურათები.

პანტომიმის თეატრი საგასტროლოდ

მოლდაველ და უკრაინელ მაყურებლებთან შეხვედრების წინ

თავის ხუთ საუკეთესო სპექტაკლს უჩვენებს მოლდავეთის დედაქალაქსა და უკრაინის ქალაქებში, საქართველოს პანტომიმის სახელმწიფო თეატრი, რომლის გასტროლებიც 4 სექტემბერს დაიწყება კიშინოვში. თეატრის რეპერტუარშია „მცირე მიწა" — სპექტაკლი, რომელსაც საფუძვლად დაედო ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოგონებების წიგნი, ევრიპიდეს „ელექტრა", ვ. გოგოლაშვილის „მუშკეტრის სიკვდილი", ნოველა „ოცნება და სინამდვილე" და კოლექტივის ერთ-ერთი ბოლო პრემიერა „კიდევაც დაიზრდებიან".

ათი დღის მანძილზე ქართველი მსახიობები თავის ხელოვნებას გააცნობენ მოლდავეთის დედაქალაქის თეატრის მოყვარულთ, შემდეგ კი საგასტროლო ტურნე გაგრძელდება უკრაინაში — ქართველ მსახიობებს უმასპინძლებს ოდესა, დნეპროპეტროვსკი, ზაპოროჟიე, დონეცკი და ყირიმი.

შუამდინარეთ ქალაქში დაბრუნებისას თეატრის კოლექტივი მაყურებელს მიიწვევს ორ პრემიერაზე — შ. თარხნიშვილისა და ვ. ბრეგაძის პიესების მიხედვით დადგმულ სპექტაკლებზე. წლის დამლევისათვის კი ქართველი მსახიობები საგასტროლოდ გაემგზავრებიან მოსკოვში, ლენინგრადსა და კიევში. (საქინფორმი).

ᲤᲠᲘᲓᲠᲝᲜ ᲬᲐᲚᲕᲐᲨᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ

ᲐᲛ ᲬᲐᲤᲮᲣᲚᲡ ᲐᲡᲐᲘᲜᲫᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲨᲘ — ᲝᲠᲛᲠᲐᲨᲘ, ᲠᲣᲗᲗᲐᲕᲨᲘ, ᲝᲗᲐᲨᲘ ᲐᲒᲐᲠᲘᲓᲐᲜ ᲐᲡ ᲮᲣᲗᲘ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲩᲐᲡᲐᲮᲚᲓᲐ, ᲐᲛᲐᲡ ᲕᲘᲜᲐᲗ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲕᲔᲡᲢᲣᲛᲠᲘ ᲓᲐ ᲔᲡ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘ ᲛᲘᲕᲣᲫᲦᲕᲔᲜᲘ.

ᲐᲕᲢᲝᲠᲘ

ᲝᲨᲝᲠᲐ

მესხეთი, ასპინძა, ოშორა,
მიწაა დამბალი მადლითა,
განა გულს აჭარა მოშორდა?
აჭარა მესხეთში გადიდდა.

მე ვიცი ალითებს დანაცრეულს
პაპიძე, ჯაქსაძე, ხმალაძე,
ამ მიწას, ხელებით
გაკვალავს და გაალამაზებს.

ვაშლები, თუთები, ატმები,
ლერნები ნანგრევის ბალახთა,
ხვდებიან მადლობის
ახალი პატრონის დანახვას.

ბებერი ვაზების ნაოჭებს
ხულელის ხელები ანედლებს
და ტაძრის ხავსიან ხაოზე
ჩამქრალი სანთლები აენთნენ.

ოშორა, ლამაზო ოშორა,
თვალებზე კურცხალი
გამშრალა.
შენს შემკრთალ ლოყაზე,
ოშორა,

ღიმილი გაშალა აჭარამ.
ოშორა, წყურვილის
მომკვლელო,
ოშორა, მოკლულო მრავალჯერ
საჭირისუფლოდ ვარ მოსული.
რომ შენი ფესვები გადარჩეს.

იმ ძველი ბუხრების კვამლები,
ჯერ ძირს რომ არ
ჩამოვარდნილან,
დედებმა დღეს ახალ კერებთან
თავს გადაიხურეს მანდილად.

თუ კალოს შენ ველარ ლეწავდი,
დრო დგება მრავალი
მნიფობის,
ოშორა, გამოჭერ ლერნამი,
რომ შენზე ვამღერო ჭიბონი.

● ●

ᲜᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲐᲮᲓᲔᲜᲐ

ᲙᲘᲜᲝᲤᲘᲚᲛᲘᲡ — „ᲛᲨᲕᲝᲒᲚᲘᲣᲠᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲘᲣᲬᲐᲕᲘ"
ᲨᲔᲛᲥᲛᲜᲔᲚᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ძმებო, ძველ დარდებს
მე თავს ვანებებ,
რადგან დღეს ახდა წვით, მოთმინებით
წიგნის ფურცლებზე და ეკრანებზე
მიმობნეული ჩვენი ფიქრები.
გამოპყეთ ახლა გზას ასპინძისკენ,
რუსთავს, ოშორას, ოთას სოფლებთან,
ახალ საძირკვლის თხრილებთან იქვე.
მე დაგიხვდებით ჩემს მეზობლებთან.
მართავენ აკვნებს, ცხვება ლავაში,
ბიბინებს მინა პირმოღიმარი,
თავად რომ ჩადოს ქვა ბალავარში,
რაიკომიდან მოდის მდივანი,
რადგან დღეს ახდა ჩვენი ოცნება,
ძმებო, ძველ დარდებს
მე თავს ვანებებ,
გადარჩენილი ვხატოთ ცხოვრება
ახალ წიგნებში და ეკრანებზე.

● ●

ᲝᲓᲐ ᲝᲗᲐᲨᲘ*

მეგობრებს, — თენგიზს, შოთას და ოთარს,
როსტომს და გოგის, მრავალს და მრავალს,
გლეხი ოთაში რომ აგებს ოდას,
იმის სახელით გიგზავნით სალამს.

ახალ ფუძეში ჩასადებ დუღაბს
ჩვენც მივაყოლეთ ხელი და ლოცვა,
ძმებო, თქვენ სიტყვის კაცები თუ ხართ,
ის ოდა ვნახოთ, ნუგეში ვუთხრათ,
უჭირდეს როცა, ულხინდეს როცა.

ჩაქვიტკრებულა ბალავრის ქვაში
ტირილისა და სიმღერის ხმებიც,
დაბადებულა პირველი ვაჟი...
ბაღების მწვანე ბაირაღს გაეშლით,
არ დავილევით, არ დავიღლებით.

ასპინძა, ოშორა.
აგვისტო, 1981 წ.

* ოთა — მესხეთის სოფელია.

ᲧᲐᲑᲐᲮᲘ — ᲓᲘᲓᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲗ

უმაღლესი ლიგის ფუტბლისტთა საკავშირო ჩემპიონატის პირველობა, ოცდამერვე ტურის ბოლოს თბილისის „დინამომ" დონის როსტოვის არმიელთა გუნდს უმასპინძლა. შეხვედრის პირველ ტაიმში ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, თითქოს თბილისელები ძირითადად არხეინნი, წყნარი თამაშის ტაქტიკის წყალობით აპირებდნენ წარმატების მიღწევას. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თამაშის ამ მონაკვეთშიც სიმშვიდის დამრღვევად გუცაევი მოგვევლინა. სწორედ მისი ფლაგური გასვლის შემდეგ იმარჯვა კაკილაშვილმა და მეთერთმეტ წუთზე ანგარიში გახსნა.

შესვენების შემდეგ თბილისელთა საიერიშო მოქმედება უფრო მიზანსწრაფული და ტემპიანი გახდა. ბოლოს და ბოლოს ეგრეთწოდებული სიწყნარე მოჩვენებითი აღმოჩნდა, თბილისელები შესამჩნევად გააქტიურდნენ და მიზანსაც მიაღწიეს: მეორე ტაიმის დაწყებიდან სამი წუთიც არ იყო გასული, რომ შენგელიამ გაზარდა ანგარიში — 2:0. მატჩის დასაკვნით ნაწილში კი იმავე შენგელიამ ორჯერ ძელს მოახვედრა ბურთი. თამაშის მაწურულსაც მან ძლიერად დაარტყა მოსკოველთა კარში. მეკარემ მოიგერია ბურთი, მაგრამ შენგელიას მიერ ოსტატურად წამოწყებული იერიში გუცაევმა გოლით დაადგურგვინა. 3:0 — დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს თბილისელებმა.

დუბლიორთა მატჩიც მასპინძლებმა მოიგეს — 2:1. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს ანდღულაძემ და ჯოხაძემ.

გუშინ გაიმართა კიდევ ექვსი მატჩი. წლევანდელ ჩემპიონატში პირველი მარცხი იწვნია კიევის „დინამომ", რომელმაც მოსკოვში წააგო ცსკასთან — 0:2. დანარჩენი შედეგები ასეთია: მინსკის „დინამო"-„ფახთაკორი" — 3:1, „ზენიტი"-„ყაირათი" — 1:1, „ყუბანი"-„შახტიორი" — 2:1, „ტავრია"-„დნეპრი" — 0:1, „არარატი"-„ნეფთჩი" — 6:1.

დღეისათვის გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
„დინამო" (კ)	26	18	7	1	42-14	43
„სპარტაკი"	27	17	4	6	58-31	38
„დინამო" (თბ)	27	18	8	6	48-26	34
„ტორპედო"	26	11	9	6	30-24	31
„დინამო" (მ)	25	11	7	7	33-24	29
„შახტიორი"	26	10	8	8	42-28	28
ცსკა	27	10	7	10	31-29	27
„დინამო" (მნ)	26	9	8	9	31-28	26
„ყუბანი"	27	9	6	12	35-42	24
„დნეპრი"	27	9	6	12	34-46	24
„ყაირათი"	28	7	10	11	33-40	24
„ნეფთჩი"	27	7	11	9	24-42	24
„არარატი"	26	8	7	11	34-37	23
„ტავრია"	27	8	6	13	23-38	22
ასკ	27	7	8	12	30-43	22
„ჩერნომორ."	25	8	5	12	28-32	21
„ზენიტი"	26	6	9	10	25-31	21
„ფახთაკორი"	27	5	4	18	24-45	14

დღეს თბილისის დინამოელები ესპანეთს მიეგზავრებიან, სადაც საერთაშორისო ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას.

ჯ. ენუქიძე.

დანაშაულის კვალდაკვალ

კანონის მთელი სიმკაცრით

წაასწრეს უუალამისას...

ᲙᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡᲔᲚᲘ უსაქმური ზაზა ხმალაძე იოლ ცხოვრებას იყო მიჩვეული და დროს უქმად ხეტიალში კლავდა. ერთ დღეს, როცა მთვრალი ხულიგნობდა, საზოგადოებრივი წესრიგის დამცველები წაწყდნენ. მათ წინააღმდეგობა გაუწია და ხელითაც კი შეეხო. ამისათვის წლეულს მარტში ქუთაისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ საქართველოს სისხლის სამართლის 207! მუხლის მე-2 ნაწილით მხჯავრი დასდო და მიუსაჯა სამი წლით შრომაში სავალდებულო ჩაბმა. მას მუშაობა უნდა დაეწყო. განაჩენის აღსრულების განმგებელი ორგანოს მიერ მითითებულ სამუშაო ადგილზე მოხდით. მაგრამ რატომღაც იგი მაინც თავისუფლად დასეირნობდა და პარაზიტულ ცხოვრებას ეწეოდა.

ერთ დღეს ჩვეულებისამებრ გამოთვრა და შუადამისას გამოძიებისათვის დაუდგენელ (სამწუხაროდ, ამ გამოთქმამ ფართოდ მოიკიდა ფეხი საგამოძიებო პრაქტიკაში) პირთან ერთად შეიპარა ურიცკის ქუჩაზე ერთ-ერთი სახლის ეზოში და ლერი ობოლაძის „ყიგული" გაიტაცა.

ლ. ობოლაძეს დილით ავტომობილი ეზოში რომ არ დახვდა, ელდა ეცა და გულგახეთქილი მივიდა ქუთაისის ლენინის რაიონის მილიციაში. თურმე შუადამისას მილიციის განყოფილების ოპერატიულ ჯგუფს კიროვის ქუჩაზე შეემჩნია მოპარული მანქანა. ერთი ქურდი გაქცეოდა, ხოლო მეორე — ზ. ხმალაძე კი ადგილზევე შეეპყროთ.

ქუთაისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ ზაზა დიმიტრის ძე ხმალაძეს ბუთი წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა სასჯელის საერთო რეჟიმის შრომა-გასწორებით კოლონიაში მოხდით.

გ. გორელი.

რედაქტორის მოადგილე
გ. ნამყენია.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესის გავრცელების სამმართველო „სოიუზპეჩატი" იუწყება, რომ ხელმოწერა 1982 წლისათვის საბჭოთა და საზღვარგარეთის ჟურნალ-გაზეთებზე დაიწყება 1981 წლის 1 სექტემბრიდან. ხელმოწერა იწარმოებს „სოიუზპეჩატის" სააგენტოებში (განყოფილებებში), ხელმოწერის მომღებ პუნქტებში, პრესის საზოგადოებრივ გამავრცელებლებთან, ორგანიზაციებსა და წარმოება-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში, აგრეთვე კავშირგაბმულობის განყოფილებებსა და თბილისის ფოსტამტში.

ხელმოწერა 1982 წლისათვის მიიღება: საბჭოთა და საზღვარგარეთის ჟურნალ-გაზეთებზე — ამა წლის 1 სექტემბრიდან 1 ნოემბრამდე; რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ საბჭოთა და საზღვარგარეთის გამოცემებზე — 15 ოქტომბრამდე.

„სოიუზპეჩატის" რესპუბლიკური სამმართველო.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

30 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

პირველი პროგრამით: 09.00 — „ერემია" (მ.), 09.40 — ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად (მ.), 10.00 — „ბოამბე", 10.30 — „მაფიძარა" (მ.), 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები" (განმეორებით), 11.45 — „პოეზიის ხუთი წუთი", 11.50 — მუტაციანაციური ფილმი, 12.00 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 12.45 — პოეზიის „ხუთი წუთი, 12.55 — „კინოაფიშა", 13.15 — „მომქმე რესპუბლიკების მუსიკალური ხელოვნება", 14.00 — „ბალეტური შეიარაღებული" — თვითნასწავლი მხატვრები (განმეორებით), 14.20 „ილუზიონი". 16.50 — „პოეზიის ხუთი წუთი", 16.55 — „ვესტნიკი". 17.25 — „კინომოგზაურობის კლუბი" (მ.).18.25 — „დღეს მეშახტეების დღეა" (მ.), 18.40 — „პოეზიის ხუთი წუთი". 18.45 — მუტაციანაციური ფილმი, 19.00 — „საერთაშორისო პანორამა" (მ.), 19.45 — „პოეზიის ხუთი წუთი", 19.50 — ქართული საფეხბურთო ოლიმპიადა. რეკორდული ფილმი „ხუთი დაფა", 20.20 — „მოამბე", 21.00 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: მოსკოვის „დინამო"-მოსკოვის „სპარტაკი". მეორე ტაიმი (მ.), 22.00 — „ვერემია" (მ.), 22.35— საფეხბურთო მიმოხილვა (მ.), 23.05 — ფილმ-კონცერტი — „ჯაზის კონცერტებში". პრემიერა (მ.).

მეორე პროგრამა: 16.00 — „ბავშვთა ეკრანი". „ბიბლიოთეკა" (ფ.), 16.30 — „ბავშვთა ეკრანი". „ბიბლიოთეკა" (ფ.), 17.00 — „ბავშვთა ეკრანი". „ბიბლიოთეკა" (ფ.), 17.30 — „ბავშვთა ეკრანი". „ბიბლიოთეკა" (ფ.), 18.00 — „ბავშვთა ეკრანი". „ბიბლიოთეკა" (ფ.), 18.30 — „ბავშვთა ეკრანი". „ბიბლიოთეკა" (ფ.), 19.00 — „ბავშვთა ეკრანი". „ბიბლიოთეკა" (ფ.), 19.30 — „ბავშვთა ეკრანი". „ბიბლიოთეკა" (ფ.), 20.00 — „ბავშვთა ეკრანი". „ბიბლიოთეკა" (ფ.), 20.30 — „ბავშვთა ეკრანი". „ბიბლიოთეკა" (ფ.), 21.00 — „ბავშვთა ეკრანი". „ბიბლიოთეკა" (ფ.), 21.30 — „ბავშვთა ეკრანი". „ბიბლიოთეკა" (ფ.), 22.00 — „ბავშვთა ეკრანი". „ბიბლიოთეკა" (ფ.), 22.30 — „ბავშვთა ეკრანი". „ბიბლიოთეკა" (ფ.), 23.00 — „ბავშვთა ეკრანი". „ბიბლიოთეკა" (ფ.).

COMUNISTI INDEKS 66434 უე — 14588 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საბალანსო კორპუსი, ზოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20